# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 9 ნოემბერი, 2010 წელი.

№208 (6574)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## რა „გამარჯვების ფორმულა“ იცის ფორუმმა?

**რატომ ეგონა დიმა ჯაიანს თავი ლორდთა პალატაში?**



3

## როცა ოპოზიცია ბრძოლას იწყებს, ხელისუფლება ჯაშუშებზე ნადირობას აჩაღებს



4



## საით გაუწევიათ ნაცებს – წინ, ევროპისკენ თუ უკან, პანტიანისკენ?

7

## ვინ შემოაპარა ჰამბურგერით ნელი სიკვდილი?

2



**50-ჯერ უფრო დაბინძურებული საკვები პროდუქტი და დაუცველი მომხმარებელი**

## ვინ გააოღრო-ჩოღროვა გზა მოსკოვსა და თბილისს შუა

8

## პოლემიკა დემოკრატიის ტალღაზე,

5

ანუ რომელია „ხორბალი“ და რომელია „სარეველა“?

## რა რეფორმები იგეგმება საჯარო სამსახურში?

6

## ამერიკული შუალედური არჩევნები - კარგია თუ ცუდი საქართველოსთვის?



2

## საგურამოელები და ნავთობ-გაზის კორპორაციის თაღლითობა

3



### ექსპერტები

***ამერიკის შეერთებული შტატების შუალედური არჩევნების წინასწარი შედეგების თანახმად, დემოკრატებმა კონგრესის ქვედა პალატაში უმრავლესობა დაკარგეს. აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ „რესპუბლიკელებს“ შუალედურ არჩევნებში გამარჯვება უკვე მიულოცა. მილოცვასთან ერთად, პრეზიდენტმა წარმომადგენლობით პალატაში რესპუბლიკელების ლიდერს ჯონ ბეინერს სატელეფონო საუბარში მნიშვნელოვანი ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაში თანამშრომლობა შესთავაზა. საუბარია, კერძოდ, უმუშევრობის დონის შემცირებაზე. გამოკითხვის წინასწარი შედეგების თანახმად, ქვედა პალატაში რესპუბლიკელები 129 ადგილს მიიღებენ, ხოლო დემოკრატები — 75-ს. აღსანიშნავია, რომ არჩევნებამდე ამერიკის კონგრესის ქვედა პალატაში დემოკრატებს 495 ადგილიდან 255 ეკავათ, რესპუბლიკელებს კი — 178. კიდევ ორი ადგილი თავისუფალი იყო. იმ რესპუბლიკელებს შორის, რომლებმაც ადგილები შეინარჩუნეს, აშშ-ის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი ჯონ მაკკეინიც არის, რომელიც სენატორის თანამდებობაზე უკვე მეხუთედ არის გადარჩეული.***

***იმაზე, თუ რამდენადაა მოსალოდნელი, არჩევნების ამგვარმა შედეგებმა ამერიკის საგარეო პოლიტიკურ კურსზე, კერძოდ, საქართველოსთან და რუსეთთან ურთიერთობებზე გავლენა იქონიოს, „პირველი“ ქართველ ექსპერტებს ესაუბრა.***

# საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის შეცვლას არ ელიან, თუმცა თავად პოლიტიკის გამკაცრებას არ გამორიცხავენ



უსაფრთხოების პოლიტიკის ექსპერტის **ირაკლი სესიაშვილის** აზრით, „რესპუბლიკელების გამარჯვება აშშ-ის პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეულ კორექტივებს შეიტანს, თუმცა ეს ნაკლებად შეეხება ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსს, რომლის კუთხით ამერიკა, როგორც წესი, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს, პოლიტიკური ძალების პოზიციებს შორის განსხვავება კი შესაძლოა, მხოლოდ განსხვავებულ მიდგომებში გამოიხატებოდეს“.

„ჩემი აზრით, არჩევნების ეს შედეგი გარკვეულწილად აისახება ობამას პოლიტიკურ მმართველობაზე და ის შეეცდება, საზოგადოებისთვის უფრო მეტად მისაღები ნაბიჯები გადადგას, თუნდაც ამას მისი თანაგუნდელი დემოკრატები არ იზიარებდნენ. ეს, მათ შორის, შესაძლოა, მცირედით საგარეო ვექტორებსაც შეეხოს, თუმცა — მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამომავლო სოციოლოგიური კვლევების შედეგები გამოკვეთს, რომ პრეზიდენტის პარტიის რეიტინგის დაცემა უფრო მეტად სწორედ საგარეო პოლიტიკური კურსის საზოგადოებისთვის მიუღებლობით არის გამოწვეული. ობამას სამომავლო პოლიტიკური მიდგომები სწორედ ამის მიხედვით „გამოსწორდება“, — განუცხადა „პირველს“ სესიაშვილმა.

მისგან განსხვავებით, პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძეს** არჩევნების შედეგები იმის თქმის საფუძველს აძლევს, რომ „რუსეთთან მიმართებაში ობამასეული რომანტიკული „გადატვირთვის“ ხანა დასრულდა და ამ მიმართულებით ცვლილებებს უნდა ველოდოთ“.

„დემოკრატების ბოლოდროინდელი მმართველობის განმავლობაში რესპუბლიკელების კრიტიკა უპირველესად სწორედ ობამას მიერ ინიცირებულ „გადატვირთვას“ შეეხებოდა. რესპუბლიკელები მუდმივად აცხადებდნენ, რომ კრემლთან მიმართებაში ვაშინგტონს უფრო მკაცრი პოლიტიკით უნდა ეხელმძღვანელა. აქედან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ, რომ ამ არჩევნებით „გადატვირთვის“ რომანტიკული ხანა დასრულდეს. ვფიქრობ, ამ მიმართულებით ახალ მიდგომებს უნდა ველოდოთ“, — განუცხადა „პირველს“ საყვარელიძემ.

რუსეთის კვლევების საქართველოს ინსტიტუტის დირექტორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი **ზურაბ აბაშიძე** საყვარელიძის აზრს არ იზიარებს და არჩევნების შემდეგ რუსეთთან მიმართებაში ამერიკის პოლიტიკაში ცვლილებებს არ ელის.

„უპირველესად, უნდა ითქვას, რომ ამ არჩევნებზე რესპუბლიკელების მხრიდან უფრო დიდი წარმატების მიღწევის მოლოდინები არსებობდა. რა თქმა უნდა, ის შედეგიც, რომელსაც რესპუბლიკელებმა ქვედა პალატაში მიაღწიეს, მნიშვნელოვანია, მაგრამ არა მგონია, მან ოფიციალური ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკაზე რაიმე გავლენა იქონიოს. წინ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მნიშვნელოვანი სამიტი გველის და იქ რუსეთთან მიმართებაში საინტერესო პოზიციები დაფიქსირდება. ვფიქრობ, ჩვენ რუსეთ-ნატოს ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასვლის მომსწრენი გავხდებით, რადგან ალიანსსა და კრემლს ერთმანეთი ძალიან სჭირდებათ. აქვე მინდა, აღვნიშნო ისიც, რომ ეს ყველაფერი საქართველოს ხარჯზე არ გაკეთდება. ანუ, ამერიკაში ჩატარებული არჩევნების შედეგებისგან ცვლილებებს არც საქართველოს მიმართ პოლიტიკაში უნდა ველოდოთ“, — განუცხადა „პირველს“ აბაშიძემ.

ექსპერტი კავკასიის საკითხებში **მამუკა არეშიძე** ასევე ემხრობა იმ აზრს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის სტრატეგია არ შეიცვლება, თუმცა მოელის, რომ „თავად საგარეო პოლიტიკა უფრო აგრესიული გახდება“.

„ვფიქრობ, შეიცვლება რუსეთ-ამერიკას შორის მიმდინარე „გადატვირთვის“ პოლიტიკის ფორმა, მაგრამ არა სტრატეგია. რესპუბლიკელებს არჩევნებზე წარმატების მიღწევით დამატებითი ბერკეტი ეძლევათ იმისათვის, რომ ობამას ადმინისტრაციას საგარეო პოლიტიკის წარმოებისას უფრო მეტი სიმკაცრე და აგრესიულობა მოსთხოვონ. აქედან გამომდინარე, ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკაში უფრო მეტ აგრესიულობას უნდა ველოდოთ“, — განუცხადა „პირველს“ არეშიძემ.

ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, რუსეთში მცხოვრები ქართველი სოციოლოგი **ბადრი ქუთელია** ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკაში ცვლილებებს არ გამორიცხავს, მაგრამ რადიკალურს არ ელის.

„უმრავლესობაში ყოფნის დროს დემოკრატიის მხარდაჭერაზე უარი არც დემოკრატებს უთქვამთ და მათი მმართველობის დროსაც საქართველოს მხარდაჭერა აშკარა იყო და სხვა საკითხია, რომ ეს რამდენადმე უფრო ლატენტურად ხდებოდა. ვფიქრობ, ამ მხრივ ამ არჩევნების შემდგომ სიტუაცია უფრო ინტენსიურად განვითარდება და ამას შესაძლოა, საქართველოს მიმართ ევროპული ქვეყნების კეთილგანწყობის ზრდა დაემატოს. საკუთრივ ამერიკულ პოლიტიკაში რესპუბლიკელების მოღვაწეობის წილის ზრდის გამო მოიმატებს დემოკრატიის მხარდაჭერა ყოფილ საბჭოთა რეგიონებში, მაგრამ ამავე დროს, გამორიცხული არ არის იზოლაციონისტური ტენდენციის დაფიქსირებაც. საქართველო-ამერიკა-ევროპის კავშირებში ალბათ, გაიზრდება ამერიკის პოზიციის როლი, რაც ევროპის პლაცდარმზე საქართველოს პოზიციების გამყარებაში გამოიხატება“, — განუცხადა „პირველს“ ქუთელიამ.

ამასთან, ქუთელია ვაშინგტონსა და კრემლს შორის „გადატვირთვის“ პოლიტიკის შესაძლო გააქტიურებასაც ელის.

„აქამდე იგი უფრო იმ გაგებით არსებობდა, რომელიც პუტინისტურ რუსეთს აწყობდა, ანუ არა აქტიურად. ამერიკულ პოლიტიკაში ცვლილებებს კი შეიძლება, „გადატვირთვის“ მომავალი გააქტიურება მოჰყვეს, რაც, თავის მხრივ, რუსეთის გადემოკრატიულების პროცესს დააჩქარებს, ეს კი ესოდენ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ თავად რუსეთის მოქალაქეებისთვის“ — მიიჩნევს ქუთელია.

შეგახსენებთ, რომ 2 ნოემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში შუალედური არჩევნები გაიმართა, რომელთა შედეგად კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის სრული შემადგენლობა აირჩიეს. სენატში 100 სენატორიდან 36 გადაირჩიეს. იმავდროულად 37 შტატში გუბერნატორთა არჩევნები გაიმართა, ასევე შტატებისა და ქალაქების ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოების, პროკურორთა და სხვა არჩევითი თანამდებობების არჩევნები ჩატარდა.

**ლევან ჭითანავა**

### ინფორმაცია

## ილია II: აფხაზებისა და ოსების მიმართ მეტი სულგრძელობა უნდა გამოვიჩინოთ

**გერმანიიდან დაბრუნებულმა უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში იქადაგა.**

**მან ქართველებს აფხაზებისა და ოსების წინაშე მეტი პასუხისმგებლობისა და სითბოსკენ მოუწოდა.**

**— ქართველებს მეტი პასუხისმგებლობა გვმართებს აფხაზების წინაშე, ოსების წინაშე. ჩვენ მეტი სულგრძელობა უნდა გამოვიჩინოთ და ქართული სითბო უნდა ვაჩვენოთ მათ. რაც უფრო იგრძნეს ის სიცივე, რომელშიც დღეს იმყოფებიან, მით უფრო ენატრებათ ქართული სითბო და ქართველი ადამიანი, — ქადაგებს პატრიარქი.**

ჯი-ეიჩ-ენი

### SIC!

# ჰამბურგერით შემოპარული ნელი სიკვდილი

## 50-ჯერ უფრო დაბინძურებული საკვები პროდუქტი და დაუცველი მომხმარებელი

**მოწამლული ჰამბურგერის თემა საკმაოდ პოპულარული გახდა გასულ კვირას. საქმე ისაა, რომ სურსათის უვნებლობის თემაზე გაზეთ „პრაიმ-თაიმმა“ კვლევა ჩაატარა. გაზეთის წარმომადგენლისთვის პრობლემა არ გახლდათ ერთი ცალი ჰამბურგერის ლაბორატორიაში წაღება და შესაბამისი თანხის გადახდა.**

ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთ-ერთი ინდმეწარმის ჯიხურში 1.30 ლარად შეძენილი ჰამბურგერი საწარმოს წარმომადგენლის თანხლების ლაბორატორიაში წაიღეს. ანალიზის პასუხი არც თუ სახარბიელო აღმოჩნდა. მზა პროდუქციაში, რომელიც პურის, კატლეტის, სალათის ფოთლის, კიტრისა და პომიდვრისგან შედგებოდა, მიკრობთა რაოდენობა 1000 მაგივრად 50 ათასი აღმოჩნდა, ასევე ნაწლავური ჩხირებიც, რომელიც 1 გრამში საერთოდ არ უნდა ყოფილიყო. სახელმწიფო კი სხვადასხვა ნორმატიული აქტებით ადგენს, რომ ეს შემადგენლობა საკვებ პროდუქტში არ უნდა იყოს, როცა ასეთი შემთხვევა ხდება, ის შეიძლება ადამიანისთვის იმ წუთში მომწამვლელი არ იყოს, მაგრამ დროთა განმავლობაში, ჯანმრთელობისთვის საშიშია.

„პრაიმ-თაიმმა“ თავის პრესკლუბში სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო ინსტიტუტის წარმომადგენლები გულიკო დვალი და ნანა საყვარელიძე მოიწვია. ეს ქალბატონები ამბობენ, რომ ჰამბურგერის მიკრობიოლოგიურ დაბინძურებაზე ტესტირების ლაბორატორიაში კვლევა სანიტარიული წესებისა და ნორმების მიხედვით ჩატარდა. რისგან შეიძლებოდა დაბინძურებულიყო პროდუქტი, ამის ზეპირად ვარაუდი მათთვის ძნელია. ინდმეწარმის მტკიცებით კი მან ცალ-ცალკე შეიძინა თითოეული პროდუქტი, „ააწყო“ და მომხმარებელს შესთავაზა, ამიტომ პროდუქტის შიგნით აღმოჩენილ მიკრობებზე ის პასუხისმგებელი არ არის.

როგორც ნანა საყვარელიძე ამბობს, ვინმეს პასუხისმგებლობის შესახებ საუბარი რთულია, მაშინ, როცა სურსათის უვნებლობის შესახებ ქვეყანას კანონი 2013 წლამდე შეჩერებული აქვს. „კანონი არ არსებობს, მაგრამ წელიწადში რამდენჯერმე ცხადდება ტენდერი ლაბორატორიებისთვის, ესა თუ ის ლაბორატორია იღებს გრანტს და აკეთებს სხვადასხვა სახეობის პროდუქციის ანალიზს. ვინაიდან ლაბორატორიული შემოწმება ძვირია (300 ლარიდან ზევით), მას უფასოდ არავინ გააკეთებს, თუ დაინტერესებული პირი არ მიმართავს ლაბორატორიას“. ვინ უნდა იყოს დაინტერესებული? უპირველესად მეწარმე, რომელიც პროდუქციას აწვდის მომხმარებელს, მაგრამ ვინაიდან მას ამის ვალდებულებას სახელმწიფო არ აკისრებს, ძალიან იშვიათ შემთხვევაში თუ მიმართავს ლაბორატორიას. მონიტორინგის სისტემა ქვეყანაში არ არსებობს, ხოლო, მეწარმის მოვალეობა, თერმულად მაინც დაამუშავოს პროდუქცია, უგულებელყოფილია.

საკვები პროდუქციის უვნებლობასა და ხარისხზე ზრუნავენ ბრენდები, რომლებიც საკუთარ იმიჯს უფრთხილდებიან. როგორც ქალბატონი ნანა ამბობს, ამ მხრივ გამოირჩევა „მაკდონალდსი“, რომელსაც თვითონ აქვს ლაბორატორია. „გუდვილი“, „პოპული“, „შირნჰოფერი“, „იოლი“, „ნიკორა“... — ეს ფირმები თავად ცდილობენ, იყვნენ ხარისხიანი პროდუქციის მიმწოდებელნი. მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ მომხმარებელთა ძალიან დიდი ნაწილი, ამ ბრენდებს დიდად არ ეტანება, სწორედ მაღალი ფასების გამო. ყველაზე პოპულარული ჯიხურებსა და კაფე-ბარებში შეძენილი სწრაფი კვების პროდუქტებია, რომელსაც ბ უნებრივია, მომხმარებელი ვერ შეამოწმებს. მზა პროდუქტს შეიძლება გემო გაუსინჯოს, მაგრამ მიკრობთა რაოდენობა რამდენია, ვერ იტყვის. მით უმეტეს, რომ ისეთი დაბინძურებული პროდუქტი, როგორც ზემოთ ხსენებული ჰამბურგერია, სწრაფ ეფექტს არ იძლევა, ამით მეყსიერად არ იწამლება, უბრალოდ ორგანიზმი კარგავს ვიტამინებს, ელექტროლიტებს, მიკრო ელემენტებს, ისე რომ ვერც გრძნობს.

რა გვეშველება? პრობლემა მარტივია, ხარისხის მაკონტროლებელი ორგანოები უნდა ამოქმედდნენ, კეთილსინდისიერი კად-



რებით უნდა დაკომპლექტდნენ, მეწარმე ვალდებული უნდა გახდეს, მომხმარებელს სუფთა საკვები მიაწოდოს. ამბობენ, რომ ლაბორატორიული კვლევების სიძვირე, შესაბამისად პროდუქციის ღირებულებასაც გააძვირებს. შესაძლოა, მაგრამ ნელ-ნელა შემოპარულ სიკვდილს, ცოტა ძვირის გადახდა აჯობებს. მით უმეტეს, რომ ისედაც ყველაფერი ძვირდება...

**ნია ფიფია**

◉ „დიდი რვიანი“

***„დიდი რვიანი“ – ასე უწოდებენ თავის თავს ის ოპოზიციური პარტიები, რომლებმაც რადიკალიზმს კონსტრუქციულობა არჩიეს და ხელისუფლებასთან დიალოგის გზას დაადგნენ. მიზეზი – საარჩევნო გარემოს შესაცვლელად ბრძოლაა, მიზანი – ხელისუფლების შეცვლა, სწორედაც არჩევნების გზით. მაგრამ ამ აზრს იმთავითვე სკეპტიკოსები გამოუჩნდნენ და ამიტომაც „ქართული აკადემიის“ ინიციატივით სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ საზოგადოების 500-ზე მეტი წარმომადგენლის წინაშე მოუწიათ თავის მართლება ფორუმელებს, ქრისტიან-დემოკრატებს, საქართველოს გზას, თავისუფალ დემოკრატებს, რესპუბლიკელებს, კონსერვატორებს, ხალხის პარტიას, „ჩვენ თვითონს“.***

# ფორუმმა „გამარჯვების ფორმულა“ იცის, თანაც ძალიან სწრაფი

## რატომ ეგონა დიმა ჯაიანს თავი ლორდთა პალატაში?



ილეშთ თუ არა პასუხისმგებლობას, რომ არჩევნები აუცილებლად მიგვიყვანს ხელისუფლების შეცვლამდე? ხომ შეიძლება ხელისუფლებამ ჩაგვითრიოთ მოლაპარაკების პროცესში და ვადები გაახანგრძლივოს? რამდენად ერთსულოვანია ყველა საკითხში „რვიანი“ და რა დოზით არის ჩართული მოლაპარაკების პროცესში დიპლომატიური კორპუსი, საერთაშორისო საზოგადოება? – აი, ეს იყო იმ კითხვათა ნუსხა, რომელზეც პასუხს ითხოვდა „ქართული აკადემია“, თუმცა პარტიების ლიდერებისგან მთელი სამი საათის განმავლობაში დარბაზი ისმენდა ახსნა-განმარტებებს, დამრიგებელ შეგონებებს, თუ რამდენად აუცილებელია ქვეყნისთვის არჩევნები, გაიკიცხა ყველა ის გზა, რომელსაც არჩევნებამდე არ მივყავართ, ლამის შემოელანძღათ სკეპტიკოსები და ა. შ.

**კობა დავითაშვილმა** აღნიშნა, რომ ხავერდოვანი რევოლუციები და აჯანყებები მხოლოდ მას შემდეგ ხდება, როცა ხელისუფლება არ ეგუება არჩევნების გზით წასვლას: „მიმაჩნია, რომ არჩევნები არის აუცილებელი ეტაპი, ხოლო რადიკალური პროცესები მას შემდეგ იჩენს თავს, როცა ხელისუფლების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დგება. პასუხისმგებლობის გრძნობა გვაქვს, მაგრამ ნამდვილად არა გვაქვს იმის გარანტია, რომ ხელისუფლება აუცილებლად წავა. ხელისუფლებისაგან არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ ვინაიდან ოპოზიციამ შეიმუშავა მოლაპარაკების თამაშის წესები, პროცესი სანდოა. ჩემი აზრით, თუ ყველა უბანზე თითოეულ პარტიას თავდადებული ხალხი არ ეყოლება, ალბათ, საარჩევნო კოდექსის შეცვლაც ვერ გვიშველის“...

დავითაშვილის მშვიდმა ტონმა მწყობრიდან გამოიყვანა რეჟისორი დიმა ჯაიანი, რომელმაც დარბაზიდანვე საკმაოდ ემოციურად შეუძახა ოპოზიციას: „ასე მგონია, ახლა ლორდთა პალატაში ვსხედვართ, სად ცხოვრობთ, რომელ ქვეყანაში? დამთავრდა მოლაპარაკება, ეს გუშინდელი თამაშია. რას აპირებენ პარტიები, როცა უფსკრულში მივექანებით? ან გამარჯვება, ან სიკვდილი“!... თემურ ნანეიშვილი შეეცადა დაემშვიდებინა რეჟისორი, თუმცა ემოცია არც მას აკლდა: „მშვიდად, ყოველგვარი ფაშიზმის გარეშე. სტუმრად რომ მივდივართ, დღის წესრიგს უნდა დავემორჩილოთ. გამოვიჩინოთ მეტი გონიერება, ერთხელ მაინც შევეცადოთ, მოვუსმინოთ ამ ხალხს“. ბუნებრივია, სიტყვა „ფაშიზმმა“ კიდევ უფრო გაალიზიანა ჯაიანი.

**ირაკლი ალასანიამ** ჩვეული დიპლომატიით სცადა სიტუაციის განმუხტვა: „მე პატივს ვცემ დიმა ჯაიანის ემოციებს. ის იმ საზოგადოების წარმომადგენელია, ვინც ყველაზე მძიმედ გადაიტანა ბოლო ოცი წელი. ან გამარჯვება, ან სიკვდილიო, მაგრამ გამარჯვება ვისზე? მტერზე? ჩვენი მტერი არის შიდა დაპირისპირება და არა კონკრეტული ძალა. ხელისუფლება არჩევნების გზით უნდა შევცვალოთ, სხვა გზა არ არსებობს. ქუჩის აქციები ნაცადია. თავმოყვარე პოლიტიკოსი და ღირსეული ადამიანი მაშინ გადადგებოდა და შანსს მისცემდა ქვეყანას, მაგრამ ასე არ მოხდა. ახალი რევოლუცია მოგვიტანს იმას, რაც მოხდა აფხაზეთსა და ცხინვალში. შემთხვევითი ხალხი მოვა ხელისუფლებაში და შემდეგ ეს ხალხი იქნება ძალადობით შესაცვლელი. საერთაშორისო ორგანიზაცია IPS არის ორგანიზაცია, რომელიც ჩვენს შეთავაზებებს და მოლაპარაკების პროცესს ტექნიკურად უზრუნველყოფს. ხელისუფლება ეცდება დრო გაჭიმოს, გაგვთიშოს, მაგრამ ჩვენ უფრო ჭკვიანურად უნდა მივუდგეთ“...

ორგანიზაცია IPS-ზე სასაუბროდ მწვანეთა ლიდერმა გია გაჩეჩილაძემ სიტყვა ითხოვა და აღნიშნა რომ ამ ორგანიზაციის მიმართ სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული და ნაკლებად სანდოა. ამას დარბაზში ტაში მოჰყვა იმის დასტურად, რომ ამ აზრს ყველა იქ მყოფი იზიარებდა და არ ენდობოდა ესოდენ გაპიარებულ IPS-ს.

**მამუკა კაციტაძემ** ძალიან დიდხანს ისაუბრა არჩევნების აუცილებლობაზე, იმაზე, რომ რევოლუცია ახალ სიმახინჯეებამდე მიგვიყვანს და ა. შ. დარბაზი კვლავ ტაშს უკრავდა, იქნებ შეწყვიტოსო, მაგრამ არა... დიმა ჯაიანის რეპლიკაც გაისმა – როდემდე აპირებთ მოლაპარაკებას, 2013 წლამდე? კაციტაძემ უპასუხა, რომ შეიძლება ეს 2012-შიც მოხდეს, ოღონდ ჯერ გარემო უნდა შეიცვალოსო. „რომ მითხრან, მოდით, არჩევნები ხვალვე დავნიშნოთო, ვეტყვით – არას“. კაციტაძის მონოლოგს ერთ-ერთი სტუმრის ასეთი კომენტარი მოჰყვა: დემაგოგია, საქმეს ვერ გიჩვენებს და ხომ უნდა ილაპარაკოსო.

იხ. 4 გვ.

◉ ინფორმაცია

## საგურამოელებს ნავთობისა და გაზის კორპორაცია თაღლითურად ეპყრობა



**„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია გენერალურ პროკურატურას გაზისა და ნავთობის კორპორაციის მიერ საგურამოში კერძო საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიების დაწყებას სთხოვს.**

**როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე ბაღათურიამ განმარტა, საგურამოში 38 ოჯახის კუთვნილ მიწის ნაკვეთში გაზისა და ნავთობის კორპორაციას გაზის მილსადენი გაჰყავს, რის შედეგადაც აღნიშნულ პირებს მიწის ნაკვეთი საკუთრებაში რჩებათ, თუმცა მისი დამუშავება ან მშენებლობის დაწყება ეკრძალებათ.**

**– სახელმწიფო ამ ადამიანების უფლებებს ზღუდავს და საგურამოში მათ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთის ერთ კვ.მ.-ში 0.05 ლარს უნაზღაურებს, რაც იმდენად ცინიკურია, რომ კომენტარიც კი არ სჭირდება, – აღნიშნა ბაღათურიამ.**

**მისივე თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელი 13 პირმა უკვე შეიტანა, რომელიც მცხეთის რაიონულ სასამართლოში 12 ნოემბერს განიხილება.**

**ამასთან, მიწის ნაკვეთის ერთ-ერთი მეპატრონის ინგური ჯავახიშვილის თქმით, მათ გაზის კორპორაციას კომპენსაციის სანაცვლოდ რამდენიმე ალტერნატიული გზა შესთავაზეს, კერძოდ კი საკუთრების სანაცვლოდ მისი ნახევარი მიწის ნაკვეთით დაკმაყოფილება, გაზის ტარიფის შემცირება ან საბაზრო ღირებულების მესამედის გადახდა. თუმცა აღნიშნულზე მიწის მეპატრონეებმა გაზის კორპორაციისგან უარი მიიღეს.**

**მისივე თქმით, საუბარია 33 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე.**

## ეჭვი ეპარებათ და გადამოწმებას რა უდგას წინ?



**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე გამოეხმაურა სააგენტო „ბლუმბერგის“ ინფორმაციას, ობამას ადმინისტრაციის მიერ ირანზე სამხედრო ესკალაციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით. ოფიციალურ თბილისს უცხოურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის სისწორეში ეჭვი ეპარება.**

**– ჩვენ ამის თაობაზე არანაირ ინფორმაციას არ ვფლობთ. მეტიც, საერთაშორისო უსაფრთხოების არც ერთ ფორმატშიც კი, რომელშიც საქართველო მონაწილეობს, ეს თემა არ განხილულა. ეს ამერიკის შეერთებული შტატების სუვერენულ საკითხს წარმოადგენს, მაგრამ მის სისწორეში საფუძვლიანი ეჭვი მეპარება, – განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ.**

ჯი-ეიჩ-ენი




◎ „დიდი რვიანი“

(მესამე გვერდიდან)

# ფორუმმა „გამარჯვების ფორმულა“ იცის, თანაც ძალიან სწრაფი

**ზვიად ძიძიგურის** აზრით, მოლაპარაკებები იმითაა მნიშვნელოვანი, რომ პირველად ჩვენს ისტორიაში დიპლომატიური კორპუსი ოპოზიციას უჭერს მხარს. „ეს შანსი უნდა გამოვიყენოთ. ტრაგედიად ნუ განვიხილავთ იმას, რომ ერთ მაგიდასთან დასხდება ხელისუფლება და ოპოზიცია. ეს რომელ პროცესს შეუშლის ხელს, სახალხო კრებას თუ საპროტესტო აქციას?! გონივრული ვადა – მე მგონი, 3-4 თვე საკმარისი იქნება. ამ ვადის გასვლის შემდეგ, თუ პროცესი უშედეგოდ დამთავრდება, სხვა პარტიებთან ერთად დავიწყოთ საპროტესტო აქციები“.

ამან ნანა კაკაბაძის გულისწყრომა გამოიწვია: „ბრძოლაში ძალთა თანაფარდობა უნდა იყოს, თორემ ის ყოველთვის უმცირესობის მარცხით სრულდება, – აღნიშნა მან, – დღეს ის ძალა, რომელიც არჩევნების გზით შეცვლის ხელისუფლებას, არ ჩანს და არც ის, ვისაც ძალისმიერი მეთოდებით ბრძოლის უნარი აქვს. ჩემი აზრით, ამ პოლემიკების პარალელურად რეჟიმი კი არ ირყევა, მყარდება!“

დიმა ჯაიანმა ამჯერად ტრიბუნა ითხოვა: „მე მარტო დევნილი კი არა ვარ, ამ საზოგადოების აქტიური წევრი ვარ. იპოდრომზე 200 ათასი კაცი რომ იდგა, ის ფილარმონიამდე უნდა მისულიყო შიშველი ხელებით. ასე რომ არ მოხდა, ეს იყო შეცდომა. თუ ამას არ ალიარებთ, მაშინ ცუდად ყოფილა საქმე. ეჭვები არსებობს, დრო მიდის. მოლაპარაკება დაიწყება, მაგრამ ულტიმატუმებს არ მივიღებთო, დიახ, სწორედ ულტიმატუმებით ელაპარაკეთ ხელისუფლებას. ცუდად არის, ხალხო, საქმე, ვერ ხედავთ, კაცი შიშველი დარბის, სანამ ბოლომდე გაიხდიდეს, იქნებ ვუშველოთ“...

„საქმე კიდევ უფრო რთულად არის, – განაგრძო სიტყვა **კახა შარტავამ,** – ხელისუფლების შეცვლას სამართლებრივი და პოლიტიკური უზრუნველყოფა სჭირდება. საარჩევნო პროცესი არის ინსტრუმენტი. ამომრჩეველთა დინამიკა არავითარ ლოგიკაში არ ჯდება, ეს უცხოელებმაც დაინახეს და აიძულებენ ხელისუფლებას, მოლაპარაკებები დაიწყოს. მაგრამ კიდევ უფრო ეფექტიანად შეუძლია ჩვენსავე საზოგადოებას ხელისუფლებაზე ზემოქმედება. ამ დროს რას აკეთებს საზოგადოება? – ინდიფერენტულია. ჩვენ უნდა წინ დავუდოთ ხელისუფლებას გაბერილი სიები და ვათქმევინოთ, რომ არჩევნები გააყალბა. გაბერილი სიების აღმოჩენის შემთხვევაში ბუნებრივად დადგება ხელისუფლების არალეგიტიმურობის საკითხი. ის ძალა, რომელზეც ნანა კაკაბაძემ ილაპარაკა, მართლა არ არსებობს, ასეთი ძალა შესაქმნელია“.



**გიორგი ახვლედიანმა,** როგორც ყოფილმა ჟურნალისტმა უფრო ხატოვნად სცადა აეხსნა საზოგადოებისთვის არჩევნების გარდაუვალი აუცილებლობა. „ჩვენ კედელი უნდა დავანგრიოთ. ამის ორი გზა არსებობს, ან მუშტი და თავი უნდა ვურტყათ და ხელიც და თავიც დავისახიჩროთ, ან აგურ-აგურ დავშალოთ, რისთვისაც ინსტრუმენტი გვჭირდება. სწორედ ეს იარაღია საარჩევნო კოდექსი. ჩვენ იმის პასუხისმგებლობას ვიღებთ, რომ არჩევნების შემდეგ არ ვთქვათ, არჩევნები ისევ გაგვიყალბესო. ყველა გზა ვცადეთ, მაგრამ არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა არ გვიცდია“.

თემურ ნანეიშვილმა ერთგვარი უკმაყოფილება გამოთქვა პარტიათა ლიდერების გამოვლის გამო: „თქვენ იცავთ იმ გზას, საითკენაც წახვედით. ჩვენ ახსნა-განმარტებებს კი არ გთხოვთ, არამედ გვინდოდა, კონკრეტულად გესაუბრათ თქვენს გეგმებზე, თქვენს მოლოდინზე“, – თქვა მან, რასაც მსახიობ ნოდარ მგალობლიშვილის რეპლიკაც მოჰყვა: „ხომ ხედავთ, ყველამ ჩვენ დაგვადანაშაულა და ჭკუას გვასწავლიან“...

ჩვენ აქ განსხვავებული ხედვებით, გეგმებით და ემოციებით მოვედით, – თქვა რესპუბლიკელმა **დავით უსუფაშვილმა,** – ხელისუფლებას არ უნდოდა საქმე მოლაპარაკებამდე მისულიყო. მით უფრო არ ელოდა ასეთ ჭრელ ოპოზიციურ სპექტრს ერთად. სააკაშვილის გადადგომა პანაცეა არ არის. ის გადადგა, მაგრამ საარჩევნო კანონმდებლობით, კვლავ ხელისუფლებაში დარჩა. საარჩევნო კოდექსი ჩვენ პოლიტიკური სუნთქვის საშუალებას მოგვცემს...“

„ქართული აკადემიისა“ და რვა ოპოზიციური პარტიის შეთანხმებით, შეირჩა რამდენიმე პიროვნება სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციიდან, რომლებიც მოლაპარაკებათა პროცესს დააკვირდებიან და მუდმივად მიაწვდიან ინფორმაციას საზოგადოებას.

**გუბაზ სანიკიძე** გამომსვლელთა შორის ყველაზე ემოციური აღმოჩნდა და ყველაზე კონკრეტული: „ჩვენ გამარჯვების ფორმულას ვეძებთ. დღეს ორი მიმართულების ოპოზიციური გზა გამოიკვეთა. ერთია საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებული 8-იანის მოქმედება და მეორე – რადიკალური, უფრო სწორედ პრინციპული ნაწილი, რომელიც ამბობს, რომ ხელისუფლების ცვლილება არჩევნებით ვერ მიიღწევა. ეს ორი აზრი რატომღაც ერთმანეთს დაუპირისპირეს, მაგრამ სწორედ ეს არის გამოსავალი – ესენი ერთმანეთს უნდა შევაჯეროთ: ერთი – კედელთან მოიმწყვდევს ხელისუფლებას და ათქმევინებს, რომ საარჩევნო გარემოს არ გამოცვლის, ამ დროს კი ჩაერთვება მეორე – ეროვნული კრება და ის მისცემს ლეგიტიმაციას ხავერდოვან რევოლუციას თუ შეიარაღებულ აჯანყებას. ჩვენ, ფორუმელები ვამბობთ, რომ საარჩევნო გარემოს შეცვლაზე შეთანხმების მიღწევა 1 თვეში შეიძლება. საარჩევნო გარემოს შესაცვლელი რეალური განხორციელება უკვე გაზაფხულიდან შეიძლება დაიწყოს და ყველაფერი დამთავრდეს“...

ერთი სიტყვით, ხელისუფლება დროს წელავს, თუმცა მოლაპარაკება დღეს თუ არა ხვალ მაინც უნდა დაიწყოს. უცხოელი პარტნიორები საარჩევნო კანონის დახვეწას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. არადა, ოპოზიციის შეთავაზებული კანონპროექტიც ისეა დაწერილი, რომ თუ შეცვლიან საარჩევნო კანონმდებლობას ნაციონალები – მალე უნდა დაემშვიდობონ საკუთარ სავარძლებს, არ შეცვლიან? – მით უარესი, როგორც შეხვედრაზე ითქვა, ასეთ შემთხვევაშიც ხელისუფლება წავა.

ოპოზიციონერი ლიდერების გამოსვლის შემდეგ სიტყვა რამდენიმე სტუმარმა ითხოვა, თუმცა მათ შორის ყველაზე საინტერესოდ **თემურ შაშიაშვილმა** ილაპარაკა: „კი ბატონო, კარგი გამოსვლებია, ჭკვიანურად ვსაუბრობთ, მაგრამ ამასობაში საზოგადოების მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდება. შეხვედრაზე ოთხ სტრიქონში ახსნეს ჩვენი ყოფა ფოთელებმა: ხელისუფლებისთვის მკვდრები ვართ, ოპოზიცია ჩვენთვის არის მკვდარი, ინტელიგენციამ გაგვყიდა, რატომ დუმს პატრიარქი? რვიანის შეთანხმებას ვიზიარებ, მაგრამ, მეგონა, გვეტყოდნენ, შემოგვიერთდითო. ხალხს ეს არ აინტერესებს, როგორც გინდათ, ისეთი გზით წადით, მაგრამ ხელისუფლება შეცვალეთო. მთელ ქვეყანას შეურაცხყოფა მიაყენეს. როდის იწყებს ადამიანი ჩხუბს? – როცა შეურაცხყოფას აყენებენ! ყველა ქალაქსა და სოფელში, ყოველ კუნჭულში ერთი პარტიაა, ჩოგბურთის ფედერაციიდან დაწყებული...

ხალხში უკმაყოფილება არის, მაგრამ მათი პროტესტის ხმა რომ ავწიოთ, ჩვენ, პოლიტიკოსები ვერ ვართ ამ სიმაღლეზე. ჩვენ რევოლუციას ვერ მოვახდენთ, მაგრამ თუ დიდი პოლიტიკური კულტურა არ გამოვიჩინეთ, საზოგადოება ისეა აღშფოთებული, რომ თავად გადაგვივლის“.

**დარბაზი დაცარიელდა, მსმენელი თითქმის აღარ დარჩა, მაგრამ არც იმ სავსე დარბაზში იყო ვინმე ისეთი, რომელსაც აჯანყების იდეა ხიბლავდა. არა, იდეა შეიძლება ვილაცისთვის მისაღები იყოს კიდეც, მაგრამ საქმე საქმეზე თუ მიდგება, რევოლუცია პოლიტიკოსებს აშინებს, რადიკალებსაც კი... ამასობაში კი ყველა ხვდება, რომ აღშფოთებული მასა, თუ გონიერება არა, თავად გადაგვივლის.**

**თეა მოსია**

◎ განსჯა

# ოპოზიცია ბრძოლას იწყებს, ხელისუფლება კი – ჯაშუშებზე ნადირობას

**სახელმწიფომ უცხო ქვეყნის ჯაშუშების მოქმედება უნდა აღკვეთოს და თანაც ისე, რომ მათ სახელმწიფოსთვის ზარალის მიყენება ვერ მოასწრონ. საზოგადოებამ ჯერჯერობით არ იცის თუ რა მასშტაბის ზიანი მიაყენეს ჩვენს სახელმწიფოს შსს-ს მიერ დაკავებულმა ადამიანებმა, რომლებიც იმავე შსს-ს მტკიცებით და ზოგიერთი მათგანის აღიარებით, რუსეთის სამხედრო დაზვერვაზე მუშაობდნენ.**

ოპოზიციის მორიგი ბრძოლის და რუსეთის ჯაშუშებზე მორიგი ნადირობის ტალღები დროში ერთმანეთს საეჭვოდ დაემთხვა და ვფიქრობდი, რომელ მათგანზე სჯობდა დამეწერა. ბოლოს კომპრომისული ვარიანტი ავირჩიე და თემების აქტუალობიდან გამომდინარე, ორივეზე გადავწყვიტე მეთქვა ორიოდე სიტყვა.

უდავოა, რომ სახელმწიფომ უცხო ქვეყნის ჯაშუშების ქმედება უნდა აღკვეთოს და თანაც ისე, რომ მათ სახელმწიფოსთვის ზარალის მიყენება ვერ მოასწრონ. საზოგადოებამ ჯერჯერობით არ იცის თუ რა მასშტაბის ზიანი მიაყენეს ჩვენს სახელმწიფოს შსს-ს მიერ დაკავებულმა ადამიანებმა, რომლებიც იმავე შსს-ს მტკიცებით და ზოგიერთი მათგანის აღიარებით, რუსეთის სამხედრო დაზვერვაზე მუშაობდნენ.

როდესაც პრესაში დოზირებულად ჟონავდა ინფორმაცია დაკავებული „რუსეთის ჯაშუშების“ შესახებ, ხოლო შსს-ს და ტელეკომპანიას „რუსთავი-2“ ნელ-ნელა მიჰყავდათ საზოგადოება საჭირო კონდიციამდე ფილმი „ენვერის“ დაანონსებითა და ჯაშუშების ვინაობის გამოცხადების გაჭიანურებით, ხალხში მოლოდინი, ბუნებრივია, დიდი იყო.

ამავე დროს ადგილობრივი და უცხოური პრესა უკვე წერს ხელისუფლებისა და „რუსთავი 2“-ის საეჭვო ურთიერთობებზე. ამ ტელეკომპანიას, უკვე მერამდენედ ეძლევა ექსკლუზიური უფლება სპეცსამსახურებიდან ინფორმაციის მიღებასა და გამოქვეყნებაზე. აქედან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენია ხელისუფლებამ არ იცოდეს ამ ტელეკომპანიის მფლობელთა ვინაობა.

როგორც ცნობილია, დიდ მოლოდინს დიდი იმედგაცრუება მოსდევს ხოლმე, როცა მოლოდინი არ მართლდება. ფართოდ რეკლამირებული ოპერაცია „ენვერი“ საზოგადოებაში უკვე ქილიკის ობიექტი გახდა. ალბათ იმიტომ, რომ ჯაშუშთა „აღიარებები“ და გამოქვეყნებული მტკიცებულებები იმდენად წინააღმდეგობრივი და არადამაჯერებელი აღმოჩნდა, გაჩნდა ეჭვი, ეს ხელისუფლების მორიგი პოლიტიკური პიარია, იმისთვის რომ დასავლეთის ქვეყნებს მიბაძონ რუსეთის აგენტების გაუვნებელყოფაში, ხოლო ქვეყანაში „კუდიანებზე ნადირობის“ ახალი სეზონი გახსნან ოპოზიციის გასანეიტრალებლად. შსს-ს არც დაუმალავს, რომ ოპერაცია „ენვერი“ მხოლოდ პირველი ეტაპია, რაც იმას ნიშნავს, რომ დაპატიმრებები შეიძლება გაგრძელდეს.

დაპატიმრებულთა ტელეაღიარებებში იმდენი საეჭვო „მარგალიტებია“, რომ ძალაუნებურად იფიქრებ, წინასწარ გამზადებულ ტექსტს ხომ არ ახმოვანებდნენ. ასე მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი ბიზნესმენი პეტრე დევრიშაძე აღიარებით ჩვენებაში ჯერ ამბობს, რომ ანონიმი რუსების ზეწოლით სუფთა ფურცელს მოაწერა ხელი, მერე იქვე აცხადებს, რომ მათი ზეწოლის და კარნახის ქვეშ დაწერა აგენტურულ მუშაობაზე თანხმობის წერილი და თურმე თავად შეირჩია აგენტურული ფსევდონიმი „ალექსეევი“(?!ძ.



მეორე „ჯაშუში“, მფრინავი მერაბ უსტალიშვილი აცხადებს, რომ შპიონაჟში მისი კურატორი მიხეილ კვაჭანტირაძე მისგან ითხოვდა საქართველოს ტელეკომპანიების ინფორმაციების ქართულიდან რუსულად თარგმნას, თანაც რვეულში ჩანაწერების სახით (?!ძ და ეს მერე მისი შანტაჟისთვის გამოიყენა?!. ჯერ ერთი, რისთვის უნდა დასჭირვებოდა გრუ-ს აგენტს მაინცადამაინც მფრინავისთვის დაევალებინა ეს საქმე?

ან რატომ გააკეთა გრუ-მ აქცენტი მაინცადამაინც ბათუმის ესკადრილიის მფრინავებზე, რომლებსაც საკუთარი რაიმე მნიშვნელოვან სამხედრო ან სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციაზე ხელი არ მიუწვდებოდათ. საგულისხმოა, რომ დაკავებულთაგან არც ერთი არ არის სახელმწიფო სტრუქტურაში მომუშავე თანამდებობის პირი, რომლებსაც მართლაც შეიძლებოდა ჰქონოდათ წვდომა მნიშვნელოვან საიდუმლო ინფორმაციაზე.

შსს-ს საზოგადოებისთვის არ უცნობებია მთავარი საკითხი, თუ რა გახდა სხვა 12 დაკავებული საქართველოს მოქალაქისთვის რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის მოტივი. ფინანსური დაინტერესება, ხელისუფლების პოლიტიკით უკმაყოფილება თუ შანტაჟზე წამოგება?.

ისე კი, ვისაც თუნდაც დასავლეთში გაქცეული გრუ-ს ყოფილი ოფიცრების მემუარები წაუკითხავს, ეცოდინება, რომ ეს უწყება ასეთი პრიმიტიული მეთოდებით ნამდვილად არ მუშაობს.

ასე რომ, პასუხგაუცემელი კითხვები ოპერაცია „ენვერის“ ირგვლივ ძალიან ბევრია.

ის, რაც ამ დროისთვის არის ცნობილი ჯაშუშობაში ეჭვმიტანილ ადამიანებზე, ორ რამეს გვაფიქრებინებს – ან რუსული სამხედრო დაზვერვა (გრუძ მართლაც სრული დეგრადაციის გზაზეა, ან ქართულ სპეცსამსახურებს ძალიან დაბალი წარმოდგენა აქვთ ჩვენ საზოგადოებაზე და თვლიან, რომ პროპაგანდისტულ ფონზე მიწოდებულ ნებისმიერ „ინფორმაციას“ ხალხი განსჯის გარეშე „გადაყლაპავს“.

იხ. 6 გვ.

## მტყუან-მართალი

*რედაქციამ ამ დღეებში მიიღო ლიტერატორ მურმან თავდიშვილის წერილი, სადაც ლაპარაკია ისტორიკოს გურამ ყორანაშვილისაგან აკადემიკოს დავით მესხიშვილის „პლაგიატორობაზე“.*

*რედაქციამ მ. თავდიშვილის აღნიშნული წერილი გააცნო აკადემიკოს დავით მესხიშვილს. ქვემოთ ვაქვეყნებთ ორივე წერილს, იმედია, მკითხველი თავად გაარჩევს მტყუან-მართალს, ანუ რომელია „ხორბალი“ და რომელი „სარეველა“.*

# დააყენეთ მოსაბაქედ!

ვერ ვიტან ქურდობას. ნამეტნავად არ მენიაზება მისი ისეთი ფორმა, როგორიცაა პლაგიატობა.

ისტორიკოსმა გურამ ყორანაშვილმა ისტორიკოს დავით მუსხელიშვილს პლაგიატორობა შესწამა („ემპირიული ისტორიოგრაფიის უმწეობის ნიმუში“, გაზ. „თბილისი“, 2001, 1 დეკემბერიძ; მან მიუთითა, რომ მონოგრაფია „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები“ (1977, 1980ძ მოპარული იდეებითა და კონცეფციებით საზრდოობს. მაშინ დ. მუსხელიშვილმა კრიტიკოსს დამცველები მოუძსია. „პასუხს“ ხელს აწერდნენ ოთხი აკადემიკოსი და ცამეტი დოქტორი. ხომ გულის შემაძოძგინებელი ავი ციფრია 13, ოღონდ გურამ ყორანაშვილი კერკეტი კაკალი გამოდგა. მან მაინც არ მოისვენა და, ბოლოს, სამართალს რომ ვერ ელირსა, ჩვენ, ნეიტრალურ ისტორიკოსებსა და ფილოლოგებს, გვთხოვა საქმეში ჩარევა. იგი მოითხოვს: „შეიქმნას კომისია ნეიტრალურად, ობიექტურად განწყობილ ისტორიკოსთა და ფილოლოგთაგან (ტექსტოლოგებისაგანძ და მათ... გამოიტანონ სათანადო ვერდიქტი“ (გურამ ყორანაშვილი, „მეცნიერებაში პლაგიატის ნიმუში, ანუ საისტორიო გეოგრაფიის შესახებ“ 2010, 21ძ.

მე, როგორც ობიექტური და ნეიტრალური ფილოლოგი, მწვედ დამაინტერესა ამ ამბავმა. ამავე დროს, სასურველია საზოგადოებამ, ბოლოს და ბოლოს, იცოდეს სიმართლე. ჩავიხედე შესაბამის ნაშრომებში და გაირკვა შემდეგი.

ნიკო ბერძენიშვილს უწერია: „ისტორიული შეხედულება კავკასიის ხალხთა მონათესაობის, კავკასიის ხალხთა ერთიანობის შესახებ, როგორც ჩანს, საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა. ამ შეხედულების ქართული ვარიანტი დასრულებული სახით ლეონტი მროველის თხზულებაშია წარმოდგენილი. ამდენად ლეონტის თეორია დავით მეფის კავკასიური პოლიტიკის იდეური საფუძველია“ (საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 346ძ.

ზუსტად იგივე იდეა იმავე სიტყვებითა და ავტორის დაუსახელებლად გაუმეორებია დ. მუსხელიშვილს:

„ამ ხანებში საქართველო გახდა კავკასიის ერთ-ერთი უძლიერესი პოლიტიკური ძალა, რომელმაც მიზნად დაისახა მთელი კავკასიის გაერთიანების რეალისტური პოლიტიკური კურსი. საქართველოს მმართველთა ამგვარი პოლიტიკური კურსი, ბუნებრივია, მოითხოვდა შესაბამის იდეოლოგიურ დასაბუთებას, რომლის გამომხატველადაც გვევლინება განათლებული ეპისკოპოსის ლეონტი მროველის ზემოხსენებული კონფეცფია“ (კრებული „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან“, 1976, 317ძ.

საგულისხმოა ერთი მომენტიც.

ნიკო ბერძენიშვილის კვლევა, რომელიც ეხება საისტორიო-გეოგრაფიულ პრობლემებს, ქრონოლოგიურად მთავრდება საქართველოს უდიდესი ნაწილის გაერთიანებით ბაგრატ მესამის დროს (175-1014ძ. ამის შემდეგ იგი გაკვრით ეხება ალმაშენებლის ხანას, ასევე ლეონტი მროველის შეხედულებას; დ. მუსხელიშვილის მსჯელობაც ამით მთავრდება. შემდგომი ათასწლიანი მონაკვეთის შესახებ ის აღარ ამბობს.

კიდევ მეტი.

დ. მუსხელიშვილიც (გამოჩენილი ისტორიკოსის მსგავსადძ თხრობას ენეოლითის ხანიდან იწყებს.

ყველაფერმა ამან ფრიად და ფრიად საეჭვო იერსახე შეიძინა. ამიტომაც გადავწყვიტე, გამოწვლილვით გამომეძიებინა ორი მკვლევარის სხვა თაურმდგენი იდეების თანხვედრები და აღმოჩნდა, რომ აქ „სამკალი ფრიად არს“. არც მე გახლავართ ზარმაცი მომკელი. ერთობ მიყვარს ნამგლის ტრიალი და „ჰოოპუნას“ ძახილი. ამიტომაც უახლოეს მომავალში მკითხველი იხილავს საგანგებო ბროშურას, რომელიც შიშის ზარს დასცემს როგორც უკვე გამოჯანდრულ, ისე ჯერ კიდევ შეუბუმბლავ პლაგიატორებს. წიგნაკის სათაური კი ასეთი იქნება – „დააყენეთ მოსაბაქედ!“ ანუ შეგონება: როცა საკუთარი მოსაზრებები და იდეები არა გაქვს, იჯექი წყნარად, წიწკნე და შეირგე თანამდებობრივი სარგო და თავს გარეთ ნუ გამოყოფ! თუ არა და ყოველთვის გამოჩნდება მავანი „შერეკილი“, რომელიც ქურდობას არ გაპატიებს, ამხელს შენს ცრუმეცნიერებას და არჩილ მეფისდარად დაიჟექებს:

ის მკვლევარად არა ვარგა,
დააყენეთ მოსაბაქედ!

**მურმან თავდიშვილი**

# „მეცნიერული“ პარანოია

ბატონო რედაქტორო,

პირველ ყოვლისა მადლობას მოგახსენებთ, რომ შესაძლებლობა მომეცით, გავცნობოდი თქვენს რედაქციაში შემოსულ ფრიად უხამს წერილს ვინმე მურმან თავდიშვილისა, რომელიც თავისთავს „ნეიტრალურ ისტორიკოსად და ფილოლოგად“ გვაცნობს. მართალი გითხრათ, ფილოლოგობისა არ ვიცი, მაგრამ ასეთი გვარსახელის ისტორიკოსი არ გამიგია. მაგრამ ეს არ არის მთავარი.

წავიკითხე მისი „შემოქმედება“ და პირველი აზრი, რაც გამიჩნდა, ის იყო, რომ კარგი იქნებოდა, თავის დროზე მისთვის ზრდილობა ესწავლებინათ. შემდეგ, ამ „ნეიტრალურ ფილოლოგს“, რომლის კულტურის მაჩვენებელია მის მიერ ხმარებული „ნეოლოგიზმები“ („მენიაზება“, „შემაძოძგინებელი“, „მწვედ“, „თაურმდეგი“ და სხვაძ, უნდა მოეხსენებოდეს, რომ ასეთი სიტყვა – „პლაგიატობა“ – ნონსენსია! თუმცა არც ეს არის მთავარი.

სამწუხაროა, მაგრამ „ავისა მოხარკულ“ ადამიანებს რა გამოლევს ჩვენს საზოგადოებაში!

ცნობილ გრაფომანს, ხელმოცარულ ისტორიკოს გ. ყორანაშვილს, რომელმაც უკვე 25 წელია, რაც საკუთარი სულიერი და ინტელექტუალური სიღატაკის გამო, პროფესიად გაიხადა სხვისი შემოქმედების ქექვა ქართული ზღაპრის პერსონაჟის გულმოდგინებით, რის შესახებ ჯერ კიდევ ამ ათი წლის წინ ვწერდი (იხ. ჩემი წერილი: „ასე ამბობდა ზარათუშტრა!“ ჟურნ. „ანალები“, №2, 2001ძ, ამჯერად შემატებია თქვენთან მოტანილი წერილის ავტორი, რომელიც მემუქრება, რომ ზემოხსენებული გრაფომანის (როგორც ჩანს, მისი მეტრისძ წარუმატებელ წამოწყებას ის ახალ სულს ჩაბერავს და „საგანგებო ბროშურით“ პლაგიატში მამხელს. ამასთანავე, თავისი „პატრონის“ კვალად მოითხოვს „შეიქმნას კომისია ნეიტრალურად, ობიექტურად განწყობილ ისტორიკოსთა და ფილოლოგთაგან (ტექსტოლოგებისაგანძ“.

ნება მათია, შექმნან!

არსებობს სახეობა ზნეობრიობისაგან სრულიად განძარცვული ადამიანებისა, რომელთაც არავითარი საფუძველი, მაგრამ სურვილი კი დიდი აქვთ, რომ მათი სახელი გაიგონ, მათზე ილაპარაკონ. „კუმ ფეხი გამოყო მეც ნახირ-ნახირაო“! ასეთებს განეკუთვნება, თავის „პატრონთან“ ერთად, ჩვენი ავტორიც, რომელიც, გამარჯვებაში დარწმუნებული, წინასწარ გახარებულია, თითებს იფშვნეტს და ნიშნის მოგებით აცხადებს, „რომ აქ „სამკალი ფრიად არს“. არც მე გახლავართ ზარმაცი მომკელი, ერთობ მიყვარს, ნამგლის ტრიალი“!

ჭეშმარიტად, კარგი პროფესიაა, თუმცა წარმატებით „ნამგლის ტრიალს“ მხოლოდ სიყვარული ვერ უშველის, პროფესიონალიზმია საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში ნამგალი მომკელს და მის ნაცარქექია „პატრონს“ უეჭველად უკან შემოუბრუნდება!

რაც შეეხება ავტორის მიერ მოყვანილ მაგალითს, ვითომ მიუთითებლად ვიმეორებდე აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრს, მტკნარი სიცრუეა: ეს აზრი გამოვთქვი 1972 წელს, ხოლო ნ. ბერძენიშვილის ნაშრომი გამოქვეყნდა 1975 წელს. ავტორმა არ იცის მითითების წესი, რაც მეტყველებს მის „პროფესიონალიზმზე“. ასე რომ, ფრთხილად იყავით, ბ-ნო ფილოლოგო, „საგანგებო ბროშურის“ წერისას!

აკადემიკოსი
**დავით მუსხელიშვილი**

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

# პატივგება ოთხ დღეს გაგრძელდა

**პირველ ნოემბერს სმეა-ის სხდომათა პირთამდე სავსე დარბაზში შედგა საზეიმო-საიუბილეო შეკრება (როგორც აკადემიის პრეზიდენტმა თამაზ გამყრელიძემ უწოდა), მიძღვნილი გამოჩენილი სწავლულის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი (ჩვენმა გაზეთმა 30 ოქტომბრის ნომრის მთელი ორ გვერდზე მოუთხრო მკითხველს ამ დიდებული პიროვნების შესახებ).**

ჩვენ ვნახეთ 20-წუთიანი დოკუმენტური ფილმი „ივერი ფრანგიშვილი“. მოხსენება „აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ წაგვიკითხა აკადემიკოსმა მინდია სალუქვაძემ.

ცხოვრებიდან ნაადრევად წასულ დიდ მკვლევარსა და მოღვაწეზე მოგონებებით გამოვიდნენ როგორც ქართველი, ისე საზღვარგარეთელი მეცნიერები. სტუმართა შორის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა სტანისლავ ვასილევმა, რომელსაც სლაიდების მთელი წყება მოუმზადებია იუბილარზე და იმათი დემონსტრირებით წარმოსთქვა სიტყვა. თურმე მოსკოვში, მართვის პრობლემების ინსტიტუტში, რომელსაც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ქართველი სწავლული, ერთ-ერთი დერეფნის კედელს იმისი მოზრდილი პორტრეტი ამშვენებს...

პირველიდან 4 ნოემბრამდე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, დაკავშირებული აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის იუბილესთან. ფორუმს უძღვებოდა უნივერსიტეტის რექტორი, სმეა-ის წევრი არჩილ ივერის ძე ფრანგიშვილი – მშობლის საქმის ღირსეული გამგრძელებელი, მამის მაღალი სახელის ღირსეულადვე მატარებელი...

# „თქვენს გაზეთს ძალიან ვაფასებ და პატივს ვცემ“

**აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება 5 ნოემბერს თელავიველ თეოლოგს შალომ დავიდს მასპინძლობდა. ცნობილმა ისრაელელმა მკვლევარმა ქართულ ენაზე წაიკითხა ვრცელი მოხსენება „სამყაროს წარმომავლობა „დიდი აფეთქების“ თეორიისა და ბიბლიის თვალსაზრისით“, რომელმაც დამსწრეთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ებრაელი სპეციალისტის გამოსვლას მაღალი შეფასება მისცა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ.**

66 წლის სტუმარი საქართველოშია დაბადებული და გაზრდილი. თელ-ავივში 1972-ში გადასახლდა. ის გახლავთ მოსეს ხუთწიგნეულის, ბიბლიისა და სხვა წიგნების მთარგმნელი ქართულ ენაზე, ებრაულ ენაზე თარგმნის ქართველ მკვლევართა შრომებს, ავტორია პოპულარული წიგნებისა „ებრაელი ხალხის ისტორია, „კაბალა“ და სხვა. არჩეულია თბილისის სულხან-საბას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად.

– თქვენს გაზეთს ხშირად ვკითხულობ, დიდად ვაფასებ და პატივს ვცემ, „საქართველოს რესპუბლიკაში “რამდენჯერმე გამომიქვეყნებია კიდევაც სხვადასხვა ხასიათის წერილი, – გვითხრა ბატონმა შალომმა.

**თამაზ ებანოიძე**

## ინფორმაცია

### დააკავეს თაღლითობის ბრალდებით

**გარდაცვლილი** ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის პარტნიორი კომპანიის – „სალფორდ ჯორჯიას“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი გიორგი გიგინეიშვილი სამართალდამცველებმა დააკავეს. მასთან ერთად დაკავებულია ანდრია აბაშიძე. ორივე მათგანს ბრალად თაღლითობა ედება.

დაკავებულებს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

სასამართლომ წინასწარი პატიმრობის ვადა მიმდინარე წლის 27 დეკემბრამდე განსაზღვრა.

დაკავებულების სასამართლო პროცესი 27 დეკემბერს გაიმართება.

ორივე მათგანს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილით ედებათ ბრალი - წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვისი ნივთის დაუფლება, ან ქონებრივი უფლების მოტყუებით მიღება.

ცნობისათვის: „სალფორდ ჯორჯია“ დამოუკიდებელი კერძო ინვესტიციებისა და კაპიტალის მართვის საერთაშორისო კომპანიაა, რომელსაც ოფისები აქვს ლონდონში, კიევში, ბელგრადში, მოსკოვში, თბილისში. კომპანიის კლიენტი იყო გარდაცვლილი ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილიც.

კომპანია გარდაცვლილი ბიზნესმენის ქონების ნაწილს დღესაც მართავს.

### აღმასრულებელი დირექტორი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს

**ქრთამის** აღების ფაქტზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს ფოთის რეგიონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატის აღმასრულებელი დირექტორი ჯევა გიგიბერია. გამოძიებით დადგინდა, რომ ჯევა გიგიბერიას თანამდებობრივად ევალებოდა ექსპერტიზის აქტების შედგენა, სხვადასხვა დასახელების საქონელზე საბაზრო ღირებულების დადგენა, ექსპორტზე გამავალი საქონლის ქვეყნის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემა.

სამართალდამცველების ინფორმაციით, გიგიბერიამ ისარგებლა თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით და ერთ-ერთ მოქალაქეს საქართველოდან თურქეთში დაფნის ფოთლის გასატანად დაუმზადა და გადასცა საექსპორტო პროდუქტის წარმომავლობის ყალბი სერტიფიკატი, რის სანაცვლოდაც ქრთამის სახით 100 ლარი აიღო. მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან ცხრა წლამდე ვადით.

ჯი-ეიჩ-ენი

განსჯა

(მეოთხე გვერდიდან)

# ოპოზიცია ბრძოლას იწყებს, ხელისუფლება კი — ჯაშუშებზე ნადირობას

საგულისხმოა ისიც, რომ როგორც ირკვევა ყველა ბრალდებულის ეპიზოდი ცალ-ცალკეა და ამ საქმეებს ერთმანეთთან კავშირი არა აქვს. ბრალდებულები ერთმანეთს არ იცნობენ და არც ჩვენებებში არ ასახელებენ. ამ დროს შსს და სახელისუფლებო ტელევიზიები საუბრობენ ერთიანი ჯაშუშური ქსელის განეიტრალებაზე.

ვინაიდან 15 დაპატიმრებულთაგან ოთხი რუსეთის მოქალაქეა, მოსკოვიდან ოფიციალურ თბილისს მუქარის ტონით უკვე შეახსენეს პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის არაერთგზის გაკეთებული განცხადება რუსეთის ახალ დოქტრინაზე, რომლის თანახმადაც საზღვარგარეთ მყოფ საკუთარ მოქალაქეებს რუსეთი მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით დაიცავს.

იმედია, სააკაშვილის ხელისუფლება არ გაიმეორებს 2006 წელს ჩადენილ დანაშაულებრივ უგუნურებას და „ჯაშუშების“ მორიგ სკანდალს რუსეთისთვის დამამცირებელ მორიგ თეატრალიზებულ წარმოდგენად არ გადააქცევს. პოლიტიკური ქულები სადაც და ვისთანაც საჭიროა, უკვე ჩაწერილია, უცხოურმა მედიამ საკითხზე უკვე იხმაურა, სააკაშვილი და მისი გუნდი კიდევ ერთხელ წარმოჩნდნენ პოსტსაბჭოთა სივრცეზე რუსეთთან მებრძოლ გმირებად და ჭეშმარიტად პროდასავლურ ძალად. ახლა უკვე იმაზე ფიქრის დროა, რომ ჯაშუშური სკანდალიდან კიდევ რა პოლიტიკური სარგებელი შეიძლება გამოწურონ. ერთ-ერთი ვარიანტი შეიძლება იყოს „ამერიკული სცენარის“ გამეორება (დემოკრატიის გამოკლებით, ხელისუფლება ხომ მათ ყველაფერში ბაძავს?!ძ. თბილისს შეუძლია შესთავაზოს რუსეთის მოქალაქე ჯაშუშების გაცვლა შარშან რუსეთში დაპატიმრებულ და გასამართლებულ ქართველ მზვერავებზე. ამავე დროს, რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ბრალდებულების ადვოკატები გამოძიებას ოფიციალური გამოძიებისგან დამოუკიდებლად აწარმოებენ. ასე რომ, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

შსს-ს ინფორმაციით, ბოლო 6 წლის განმავლობაში რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ბრალდებით, საქართველოში 60-მდე ადამიანი დააკავეს. ჩვენი ქვეყნისთვის ეს საკმაოდ მაღალი ციფრია და ნამდვილად არის დაფიქრების საფუძველი, თუ იმასაც ვივარაუდებთ, რომ დაკავებულები რბილად რომ ვთქვათ, „მესამე ეშელონის“ აგენტურას განეკუთვნებიან. შესაძლოა, რუსეთის დაზვერვას ხელს აძლევდეს, რომ ქართულმა სპეცსამსახურებმა და მათმა დასავლელმა მენტორებმა ძირითადი რესურსები სწორედ ამ კატეგორიის აგენტებზე მიმართონ.

„სიკვდილი ან გამარჯვება“, ამ ფრაზამ გაიჟღერა 6 ნოემბერს „ქართული აკადემიის“ ორგანიზებით გამართულ შეხვედრაზე რვა ოპოზიური პარტიასა და საზოგადოებრიობას შორის და, როგორც ჩანს, საზოგადოების ნაწილის განწყობა გამოხატა.



ოპოზიციურ „რვიანში“ შედიან ის პარტიები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას იღებენ („ახალი მემარჯვენეები“, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, „თავისუფალი დემოკრატები“, „ეროვნული ფორუმი“, „საქართველოს გზა“, „ხალხის პარტია“, „კონსერვატიული პარტია“ და „რესპუბლიკური პარტია“ძ.

საზოგადოების ოპოზიციურად განწყობილი ნაწილის სურვილი და აქტივობა, თვალყური მიადევნოს ამ რვა ოპოზიციური პარტიის მოქმედებას და მათ მოლაპარაკებას ხელისუფლებასთან ქვეყანაში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე, უდავოდ მისასალმებელია. მთელი პრობლემა ის არის, რომ 6 ნოემბრის შემდეგ კიდევ უფრო მეტად გამოიკვეთა პოლარიზაცია და აზრთა სხვადასხვაობა როგორც „რვიანის“ შიგნით, ისე „რვიანსა“ და შეურიგებელ ოპოზიციურ ჯგუფებს შორის. როგორც ცნობილია, ოპოზიციის ეს ფრთა, წარსული მწარე გამოცდილების საფუძველზე, ხელისუფლებასთან საარჩევნო გარემოზე მოლაპარაკებებში აზრს ვერ ხედავს. რაც შეეხება „რვიანს“, ის შეიძლება „შვიდიანად“ გადაიქცეს. მისი ერთ-ერთი სუბიექტის, „ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენლის გუბაზ სანიკიძის ტელეკომპანია „მაესტროსთვის“ მიცემულ ინტერვიუდან ცნობილი გახდა, რომ თუ ხელისუფლება სერიოზულ მოლაპარაკებებზე არ წამოვა, „ფორუმის“ და „რვიანის“ დანარჩენი წევრების გზები შეიძლება გაიყოს და „ფორუმმა“ შეურიგებელი ოპოზიციისკენ დაიწყოს დრეიფი. აღნიშნულ ინტერვიუში სანიკიძემ ისიც აღნიშნა, რომ იკვეთება „ფორუმის“ და ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობის“ პოზიციების დაახლოების ნიშნები.

ამავე დროს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ის ნაწილი, რომლის ხმითაც საპროტესტო ელექტორატი საუბრობს, მოუწოდებს ხელისუფლებასთან მოსაუბრე პარტიებს მეტი პრინციპულობა გამოიჩინონ. თუმცა, როგორც კი ოპოზიციური პარტიების მხრიდან ასეთი რამ ვლინდება, ხელისუფლება მყისვე მოლაპარაკებებისგან თავს შორს იჭერს და აცხადებს, რომ ულტიმატუმის ენით საუბარს არ მიიღებს. ხელისუფლებამ რატომღაც ულტიმატუმად მონათლა „რვიანის“ მიერ საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად შემუშავებული სრულიად კონკრეტული წინადადებები, რომლის დადებასაც ის აპირებდა მოლაპარაკების მაგიდაზე. დღემდე ხელისუფლებამ მხოლოდ სიტყვიერად განაცხადა მოლაპარაკებების დაწყების სურვილზე. სინამდვილეში კი ყველანაირად აჭიანურებს პროცესს. საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ახალგაზრდა წევრს ამას წინათ წამოსცდა, რომ საარჩევნო სისტემის რეფორმა ხანგრძლივი პროცესია და წლები სჭირდებაო. ხელისუფლებამ უკვე მოახერხა ინიციატივის ხელში აღება და მის მიერ შეთავაზებულ თამაშის წესებზე ოპოზიციის ნაწილის წამოყვანა.

ამიტომაც, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი დღეს ოპოზიციის ფლანგზე იმის საბოლოოდ გარკვევაა, თუ ვინ აპირებს ხელისუფლების თამაშის წესების მიღებას. სავარაუდოდ ირაკლი ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები“, „რესპუბლიკელები“ და „ახალი მემარჯვენეები“ გააგრძელებენ „კონსტრუქციულ“ ოპონირებას და ხელისუფლებასთან მოლაპარაკების პროცესში შევლენ. არსებობს გარკვეული ინფორმაცია, რომ ეს „სამეული“დაჟინებით ცდილობს დასავლეთის წრეებს დაუმტკიცოს, რომ სწორედ ისინი არიან სააკაშვილის და „ნაცმოძრაობის“ რეალური პროდასავლური ალტერნატივა. ქრისტიან-დემოკრატებთან დაკავშირებით უკვე კითხვებიც აღარ ჩნდება. მოლაპარაკებისკენ იხრებიან კონსერვატორები“ და „ხალხის პარტია“. ზვიად ძიძიგური თვლის რომ, რომ ამით ისინი ხელისუფლების არაკონსტრუქციულობას ამხელენ (?!ძ.

მეორე და შესაძლოა პირველზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხია ჯერჯერობით მოქმედი „რვიანის“ და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კონსენსუსი იმაზე, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს საარჩევნო გარემოს რეალურ გაუმჯობესებად და კონკრეტულად რა გონივრულ ვადებში უნდა მოხდეს მოლაპარაკების დასრულება, რომ ეს პროცესი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე არ გაიწელოს. ეს იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ საპროტესტო ელექტორატს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ჰქონდეთ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებზე ზემოქმედების ბერკეტი და რომელიმე მათგანის ხელისუფლებასთან გარიგების შემთხვევაში მათ ელექტორატის ვერდიქტი გამოუტანონ.

**ზაალ ანჯაფარიძე,**
**ჯი-ეიჩ-ენი**

ინფორმაცია

## ლათინური ამერიკის ქვეყნები კონფლიქტურ რეგიონებს არ აღიარებენ

**ოფიციალური** თბილისი ლათინური ამერიკის სხვა სახელმწიფოების მხრიდან საქართველოს კონფლიქტური რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებას კატეგორიულად გამორიცხავს.

— ლათინური ამერიკის სხვა სახელმწიფოები, გარდა იმ ორი ქვეყნისა, რომელმაც აფხაზეთისა და ცხინვალის ე.წ. დამოუკიდებლობა აღიარეს, ჩვენი კონფლიქტური რეგიონების არაღიარების პოლიტიკას აგრძელებენ, — განუცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ ჟურნალისტებს გაეროში ლათინური ამერიკის ქვეყნების ოფიციალურ წარმომადგენლებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ.

მისივე განმარტებით, დიპლომატები საქართველოს სწორედ ქართული მხარის მოწვევით სტუმრობენ, რათა ყველა იმ რეფორმას გაეცნონ, რომელიც ქვეყანამ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განახორციელა.

## ვაშაძეს, ჯაშუშები რომ ვერ დაგვეჭირა, ჩვენს პატრიოტობაში ეჭვი შეეპარებოდა

**საგარეო** საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, საქართველომ დაამტკიცა, რომ პატრიოტების ქვეყანაა.

ასე ეხმაურება ვაშაძე ქართული მხარის მიერ რუსეთის სპეცსამსახურებთან ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი პირების დაკავებას.

— ამით რუსეთს კიდევ ერთი მარცხი მოუვიდა. ქართველმა ხალხმა დაამტკიცა, რომ რუსეთის ჯაშუშური ქსელი აქ ველარ იბატონებს, რომ საქართველო პატრიოტების ქვეყანაა, — განუცხადა ვაშაძემ ჟურნალისტებს აღნიშნულ საკითხზე კომენტირებისას.

რაც შეეხება დაკავებულ ჯაშუშებთან დაკავშირებით მოსკოვის პოზიციას, საქართველოს მთავარი დიპლომატის შეფასებით, რუსეთი ყურადღების სხვა საკითხზე გადატანას შეეცდება, თუმცა უშედეგოდ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

ინფორმაცია

## ხაბაზი ფუტკრების „უფლებებს“ იცავს

**საპარლამენტო** უმრავლესობის წევრი კობა ხაბაზი ფუტკრებისთვის „დაცული ტერიტორიის“ შექმნის ინიციატივით გამოდის.

როგორც ხაბაზმა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე, სურსათზე კონტროლის ახლებურად რეგულირების შესახებ, კანონპროექტთა პაკეტის განხილვისას განაცხადა, ქართული ფუტკრის ჯიშის შესანარჩუნებლად ასეთი ტერიტორიის მოწყობა აუცილებელია.

კერძოდ კი დაცული ტერიტორია დაახლოებით 5 კილომეტრის რადიუსის უნდა იყოს, სადაც სხვა ჯიშის ფუტკრების გადაადგილება მკაცრად უნდა გაკონტროლდეს.

ხაბაზის განმარტებით, უნიკალური ქართული ჯიშის ფუტკარს განადგურება ემუქრება, რადგანაც საქართველოს საზღვრებზე ფუტკრების გადაადგილების გაკონტროლება შეუძლებელია, დაცულ ტერიტორიაზე კი მოხდება როგორც დედა, ისე მამა ფუტკრების გამოყვანა და გაავრცელება.

აღნიშნულთან დაკავშირებით მთავრობის პოზიციას სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ალეკო ცინცაძე დეპუტატებს კანონპროექტთა პაკეტის მეორე მოსმენით განხილვისას გააცნობს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

კონფერენცია

# საჯარო სამსახურში რეფორმები იწყება

**დღეს მოქმედი საჯარო სამსახურის კანონმდებლობა საკმაოდ დასახვეწია, — ამ დასკვნამდე მივიდნენ საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელები და არა მხოლოდ ისინი. „იგი არ არის იმდენად მოქნილი, რომ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს შრომის კოდექსს, რომლის მოქნილობის წყალობითაც კერძო სექტორი უკვე ბოლო რამდენიმე წელიწადია საკმაოდ სწრაფად ვითარდება, — ამბობს საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელი ირაკლი კოტეტიშვილი. ამიტომაც საჯარო სამსახურის ახალი კოდექსის კონცეფცია უკვე მზადაა. არა მხოლოდ ამ საკითხზე, არამედ შრომის კოდექსთან დაკავშირებითაც ისმის საყვედურები ევროკავშირისგან, რის გამოსწორებასაც საქართველოს ხელისუფლებისგან რაც შეიძლება სწრაფად მოითხოვენ.**

საჯარო სამსახურში გასატარებელ რეფორმათა შესახებ ორდღიანი სემინარი გაიმართა სასტუმრო „რედისონ-ბლუ-ივერიაში“, რომელსაც ერთობლივად გაუწიეს ორგანიზება ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECDძ, ევროკავშირის პროექტმა SIGMA-მ და ევროკავშირის წარმომადგენლობამ საქართველოში. საჯარო სამსახურის პრინციპებთან დაკავშირებით საკუთარი ქვეყნის გამოცდილება გაუზიარეს მოწვეულმა სტუმრებმა — ნორვეგიიდან, დანიიდან, გერმანიიდან, ავსტრიიდან, ლიტვადან...

ახალი ქართული კონცეფცია საჯარო სამსახურის შესახებ საზღვარგარეთის ქვეყნების კოდექსებსა და გამოცდილებას დაემყარა და ის მიზნად ისახავს „ახალი საჯარო მენეჯმენტის“ პრინციპების დანერგვას. უპირველესად ეს ეხება პოლიტიკური და აღმასრულებელი ფუნქციების გამიჯვნას, როგორც ეს ხდება შვედეთში, ახალ ზელანდიაში, გაერთიანებულ სამეფოში. მაგალითად, მინისტრი და მისი კაბინეტის წევრების პრეროგატივა საჯარო სამსახურის პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაა, ხოლო აღმასრულებელი ნაწილი (აღმასრულებელი დირექტორი, მისი კაბინეტის წევრები და ყველა საჯარო მოსამსახურეძ პოლიტიკურად ნეიტრალურია. მათი პასუხისმგებლობა მომსახურების გაწევა, მენეჯმენტი, სამსახურის სიძლიერე და მიღწეული შედეგებია.

საქართველოში, როგორც ვიცით, საჯარო მოსამსახურე პირდაპირ ასოცირდება მმართველი გუნდის მხარდამჭერად, რაც იჩენს კიდეც თავს განსაკუთრებით არჩევნებზე. სწორედ ამიტომ დაეთმო ამ სეგმენტს ყველაზე მეტად ყურადღება უცხოული ექსპერტების მხრიდან.

კონცეფციის უმნიშვნელოვანეს სიახლეს წარმოადგენს ხელშეკრულება საჯარო სამსახურში, ისე როგორც კერძო სექტორში ხდება. კონცეფციის ავტორები ამბობენ, რომ ეს ხელს შეუწყობს კვალიფიციური კადრების შემოდინებას საჯარო სექტორში. რაც შეეხება ანაზღაურებას, მისი ოდენობა დამოკიდებული იქნება პირის განათლების დონესა და სამუშაო გამოცდილებაზე, ამერიკის შეერთებული შტატებისგან განსხვავებით, შვედეთსა და ახალ ზელანდიაში სახელფასო განაკვეთი ამ პრინციპით დგება. რაც შეეხება სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლებს, საჯარო მოსამსახურე სამსახურიდან შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით. პროექტი კიდევ ბევრ სხვა ასპექტს ითვალისწინებს, მაგალითად, „ინტერესთა შეუთავსებლობასა და კორუფციის შესახებ კანონს“, რომელსაც აქამდე საქართველოს კანონი აწესრიგებდა. ასევე ჩამოყალიბებულია საჯარო მოსამსახურეთა ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები. სიახლეა ისიც, რომ თანამდებობის დაკავება უცხო ქვეყნის მოქალაქეებსაც შეეძლება, პოლიტიკური და სახელმწიფო მოხელის თანამდებობის გარდა. აღნიშნულს საქართველოს მოქმედი კანონი არ ითვალისწინებდა...

**ამ კონცეფციის შესახებ ჯერ კიდევ ბევრი განხილვა და დისკუსია უნდა გაიმართოს, თუმცა სემინარის ფარგლებში უცხოელმა სპეციალისტებმა სხვა შენიშვნებიც გამოთქვეს, რასაც, ალბათ, პროექტის დამუშავებისას გაითვალისწინებენ.**

**ნია ფიფია**

## ვაი თქვენს პატრონს!

**ამ სათაურის წამკითხველმა ბევრმა შეიძლება იფიქროს, ხომ არ გარეკა ამ კაცმაო. ამიტომ წერილის თავშივე ლაკონურად ვიტყვი — ეს მოსაზრება თუ ეჭვი, არ არის მართალი, უფრო ვრცლად კი, გასული საუკუნის 80-იან წლებში მომიწევს დაბრუნება.**

# საით ნაცემბო, წინ, ევროპისკენ თუ უკან, პანტიანისკენ?

პანტიანი სოფელია თბილისთან ახლოს. მაშინდელი თბილისი, როგორც დღეს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე სახინკლეებით არ იყო მოფენილი და რამდენიც იყო, კარგ ხინკალს იშვიათად დააგემოვნებდი. პანტიანი კი სწორედ კაი ხინკლის გამო გახდა ცნობილი, მაგრამ არნახული, გნებავთ საერთაშორისო პოპულარობა ამ სოფელს ფეხბურთმა მოუტანა.

უფრო სწორად ამ სოფლის მიმდებარე პატარა მინდორმა, სადაც ერთხელ, ალბათ ვინმემ სახინკლეში, ან უკან მომავალმა, შემთხვევით ჩართო პორტატული ტელევიზორი და ჰაი საკვირველებავ, თურქეთის არხი არ დაიჭირა?!

ეს კი, რკინის ფარდის უკან მყოფი საქართველოსთვის პატარა ამბავი არ იყო — პანტიანის მინდვრის პირველ აღმომჩენებს, „გაუბაზრდათ" საიდუმლო და მთელი თბილისი დაიძრა ამ მინდვრისკენ, როგორ გგონიათ რისთვის, ანტისაბჭოთა გადაცემების საყურებლად? არა, ბატონებო! უწყინარი საფეხბურთო მატჩების, ჩემპიონთა, უეფას, თასების მფლობელთა თასის გათამაშების სანახავად, რომლებიც მაშინდელ რეჟიმს, რატომღაც ანტისაბჭოთა პროპაგანდად მიაჩნდათ და საკავშირო ტელევიზია ასეთ მატჩებს მხოლოდ საბჭოთა გუნდების მონაწილეობით თუ გვიჩვენებდნენ ხოლმე.



**ჰოდა ამიტომ ჩვენც, პანტიანის მინდორს მივაშურებდით. ერთ უზარმაზარ ბოშათა ბანაკს ჰგავდა ხოლმე ასეთ დღეებში, უფრო სწორად, ღამეებში ის მინდორი. ოღონდაც ერთი განსხვავებით, ბოშათა ფორნების ნაცვლად — ავტომანქანები, თორემ სხვაფრივ არაფრით განსხვავდებოდა კოცონების ჩათვლით — აბა მწვადების შეწვის მიზეზს ხელიდან გავუშვებდით? მით უმეტეს, მაშინ ხორცი დღევანდელივით 15 ლარი კი არ ღირდა, ყველას მიუწვდებოდა ხელიც და ჯიბეც.**

მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა — გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან პანტიანის მინდორი დაცარიელდა. რადგანაც, ჯერ „იბერვიზიის" მეკობრული ტრანსლაციები შემოვიდა ჩვენს ოჯახებში, ხოლო მერე და მერე, სრულიად ლეგალურად ვუყურებდით საერთაშორისო საკლუბო ტურნირების მატჩებს HTB-ფეხბურთის მეშვეობით.

მაშ რამ გამახსენა პანტიანის ის „ბნელი" დრო? რამ და იმან, რომ ახლა მსგავს მატჩებს, „რუსთავი-2" და ე.წ. საზოგადოებრივი მაუწყებელი გადმოსცემენ ექსკლუზიურად. ოღონდ, ამ ბოლო პერიოდში, როდესაც ქართული არხები გადმოსცემენ ასეთ მატჩებს, პარალელურად მაუწყებელ რუსულ HTB-ს თიშავენ.

რატომ? ეს კითხვა ბევრჯერ დასმულა. თუ არ ვცდები, ამას სპეციალური გადაცემაც მიუძღვნა „საზოგადოებრივმა" თუ „რუსთავი-2"-მა, მაგრამ ვერც მე და, დარწმუნებული ვარ, სხვა უამრავმაც, დამაკმაყოფილებელი, არგუმენტირებული პასუხი ვერ მივიღეთ ამ კითხვაზე.

ესაო, ანუ HTB-ს გათიშვა საკაბელო თუ ნაციონალური ტელევიზიების კონტრაქტის ძალით ხდებაო, რომელიც მათ თავის მხრივ გაფორმებული აქვთ ევროპულ მაუწყებლებთანო, ვფიქრობ, უსუსური არგუმენტია.

**არჩევანის უფლებას, ანუ იმას, რომ დიმა ობოლაძის და დათო მინაშვილის „რეპორტაჟს" თუ მირჩევნია უფრო მაღალპროფესიული კომენტარებით ვუყურო HTB-ზე ფეხბურთს, რომელი დემოკრატიის ძალით მართმევენ ამ უფლებას? ან ჩემი კონტრაქტი, კონტრაქტი არ არის, რომელიც დადებული მაქვს მავან საკაბელო ტელემაუწყებელთან, რომლის ძალითაც მომსახურების მთელი პაკეტი მაქვს შეძენილი, მათ შორის HTB-ს ფეხბოლისაც? მაგრამ რა მიამიტი ვარ არა, ჩემო მკითხველო?**

ფეხბურთი იქით იყოს, იმავე პაკეტით რუსული საინფორმაციო არხებიც შეძენილი არ გვქონდა, რომელიც, ვითომცდა თავად საკაბელოების „პატრიოტული" მოსაზრებების გამო გაგვითიშეს აგვისტოს ომის დროს და დღემდე არავინ აპირებს მათ ჩართვას? რა არის ეს თუ არა ადამიანის ფუნდამენტური უფლების დარღვევა ინფორმაციის მიღებისა? რაზედაც ყურს არავინ იბერტყავს, მათ შორის ჩვენი „დიადი" ოპოზიციაც!

**რუსულ, ოკუპანტების მაუწყებლებს ვინღა ჩივის, როცა ევრონიუსიც (რუსულენოვანი) გაგვითიშეს იმ მოსაზრებით, რომ ეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული არხი, გაზპრომის ნაყიდიაო. არც ამაზე იღებს ხმას ვინმე, მათ შორის ჩვენი ევროპელი თუ ამერიკელი „მეგობრები" — ამაზე ჩვენს საბჭოთა ხელისუფლებას ალბათ ახალი „არგუმენტი" ექნება. ყივჩაღიზაციიდან გამომდინარე, ინგლისური ყველამ ვისწავლოთ და ევრონიუსი თუ ბიბისი, დედანში ვნახოთ.**

მაგრამ მოდით ისევ ფეხბურთს დავუბრუნდეთ...

ერთი წუთით დავუშვათ, რომ ზემოთ ჩემი დემოკრატიული წუწუნი, სხვა არაფერია თუ არა ჩემი და ჩემნაირების არასახელმწიფოებრივი აზროვნების შედეგი. ანუ, როცა „სამშობლოს ასე სჭირდება", უარი უნდა ვთქვა არა თუ რუსულ საინფორმაციო არხებზე, ფეხბურთის რუსულ ენაზე კომენტირებაზეც.

კი ბატონო, მაგრამ მაშინ ქართულადაც რატომ არ გვაყურებინებენ? არადა ასე იყო 2 ნოემბერს. როდესაც რუსული გუნდები სახლში თამაშობდნენ, ასეთი მატჩები ევროპულთან შედარებით 2 საათით ადრე იწყება ხოლმე, HTB-ს ფეხბურთი კი, მთელი დღის განმავლობაშია გათიშული და არა მხოლოდ იმ ორი საათის დროს, როდესაც ჩვენს საკაბელოებს „კონტრაქტით ევალებათ" HTB-ს გათიშვა.

**ჰოდა, მოვქანდი სახლში, რათა „რუბინისა" და „პანათინაიკოსის" მატჩისთვის მეცქირა, მაგრამ ჩვენმა საზოგადოებრივმა და „რუსთავი-2"-მა ხომ არ აჩვენა და HTB-ც გათიშული იყო. ამას რა ქვია თუ არა ღორობა?**

ესეც არ იკმარეს და მეორე დღეს, როდესაც გადაუჭარბებლად ვიტყვი, მთელი საფეხბურთო მსოფლიო „მილანი" — „რეალის" მატჩს უყურებდა, „რუსთავი-2", სადაც ეს მატჩი უნდა გასულიყო, „ცხოვრება მშვენიერიას" ციკლის გადაცემიდან, როგორებიც არის „ნანუკას" შოუ, პროფილი თუ კომედიშოუ, მათ მსგავს „ბრავოს" გვაყურებინებდა. პირველი არხი კი იმ დღის ყველაზე უაზრო ჩელსი-სპარტაკის მატჩს ტრანსლირებდა იმ მოტივით, რომ სპარტაკში შეიძლება ქართველ ჯანო ანანიძეს ეთამაშა.

**არც ჯანომ ითამაშა და „რუსთავი-2"-მა ნახევარი საათის დაგვიანებით ჩართო „მილანი" — „რეალის" მატჩი. ნახევარი საათის, რომლის დროსაც ნერვები დამაწყდა, რადგან HTB, რომელიც ამ ცენტრალურ მატჩს გადასცემდა, ისევ გათიშული იყო და იძულებული ვიყავი დათო მინაშვილისთვის მესმინა პირველ არხზე — ამან გამახსენა პანტიანის მინდორი ჩემო მკითხველო.**

**დავით მხეიძე**

## ინფორმაცია

### ბრძოლა ტუბერკულოზთან დიდ ფულს მოითხოვს

**ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ მიიღო მოქმედებათა ახალი გეგმა ტუბერკულოზის სალიკვიდაციოდ. ის მოიცავს ექსპრეს-ტესტებისა და ვაქცინების დამუშავებასა და წარმოებას. ორგანიზაცია მოუწოდებს მსოფლიო გაერთიანებას გამოყოს ამისთვის 37 მილიარდი დოლარი.**

**ყოველწლიურად დაახლოებით 9 მილიონი კაცი ავადდება ტუბერკულოზის აქტიური ფორმით და თითქმის 2 მილიონი კაცი იღუპება მისგან. ტუბერკულოზი განკურნებადია, მაგრამ მისი მკურნალობისთვის საჭიროა სამკურნალო პრეპარატების მიღება სულ ცოტა ექვსი თვის განმავლობაში.**

ХО-ЭОВ-ЭНО

## ანონსი

2010 წლის 19 ნოემბერს (პარასკევს) 13 საათზე **საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში** (თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, №45, VI სართული) საქართველოს უროლოგიის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი, აკადემიკოსი

ლ ა უ რ ი   მ ა ნ ა გ ა ძ ე

წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: ***„საქართველოში უროლოგიურ დაავადებათა მკურნალობის ისტორია, აწმყო და მომავალი".***

დასწრება თავისუფალია, მობრძანდით გელოდებით

კოორდინატორი: ალექსანდრე კუჭუხიძე

## ტესტი

# შემოდგომა – გაციებების დრო?

***შემოდგომა დასასრულისკენ გადაიხარა, დგება გაციებების პერიოდი. უპასუხეთ შემოთავაზებულ შეკითხვებს და გაიგეთ, რამდენად არის თქვენი ორგანიზმი მზად დაუპირისპირდეს ვირუსებს.***

**1. ძალიან გიჭირთ დილით გაღვიძება?**
ა) არა; ბ) კი.

**2. გტანჯავთ ძილის დარღვევა, ხშირად განიცდით დაძინების პრობლემას?**
ა) დიახ; ბ) არა.

**3. თქვენი ძილის ხანგრძლივობა საშუალოდ შეადგენს არანაკლებ ექვს-შვიდ საათს?**
ა) არა; ბ) დიახ.

**4. იმის მაგივრად, რომ მიიღოთ კონტრასტული შხაპი, თქვენ ცდილობთ ზედმეტი ხუთი წუთი ინებივროთ ლოგინში?**
ა) დიახ; ბ) არა.

**5. ჯდომითი სამუშაო გაქვთ?**
ა) დიახ; ბ) არა.

**6. მეგობრობთ სპორტთან, რეგულარულად დადიხართ სატრენაჟერო დარბაზში და ვარჯიშობთ?**
ა) არა; ბ) დიახ.

**7. მოგდით თავბრუსხვევა, ხშირად გაწუხებთ თავის ტკივილი?**
ა) დიახ; ბ) არა.

**8. იშვიათად ხართ სუფთა ჰაერზე?**
ა) დიახ; ბ) არა.

**9. ამჩნევთ, რომ ქუჩაში, თბილი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მიუხედავად, მალე გეყინებათ ხელები და ფეხები?**
ა) დიახ; ბ) არა.

**10. არცთუ დიდი დატვირთვის დროს გრძნობთ გულისცემას?**
ა) დიახ; ბ) არა.

**11. ეწევით?**
ა) დიახ; ბ) არა.

**12. თქვენს ცხოვრებაში სტრესი იშვიათი სტუმარია?**
ა) არა; ბ) დიახ.

**13. თქვენს მენიუში ხშირადაა ბოსტნეული და ხილი?**
ა) არა, ბ) დიახ.

**14. ცდილობთ დაიცვათ კვების რაციონალური რეჟიმი?**
ა) არა; ბ) დიახ.

**15. გყოფნით ჩვეულებრივად დრო, რომ დაისვენოთ სამუშაო დღის შემდეგ?**
ა) არა, ბ) დიახ.

**16. თქვენი წონა ზღვრულ ნორმაშია?**
ა) არა, ბ) დიახ.

**17. იწრთობით?**
ა) არა, ბ) დიახ.

**18. გაღიზიანებული გახდით, ის, რაც განწყობილებას გიზრდიდათ ამ ცოტა ხნის წინათ, უკვე აღარ გახარებთ?**
ა) დიახ; ბ) არა.

**19. გაწუხებთ ქრონიკული დაავადებანი?**
ა) დიახ; ბ) არა.

**20. ხდება ხოლმე, რომ გრძნობთ მოულოდნელ სისუსტეს, თუმცა არ გადაღლილხართ?**
ა) დიახ; ბ) არა.

„ა"-ზე ყოველი პასუხისთვის დაიწერეთ 2 ქულა, „ბ"-ზე ქულები არ ირიცხება.

**შეაჯამეთ ქულები და გააკეთეთ დასკვნა:**

**0-10 ქულა**. დარწმუნებით შეიძლება იქონიოთ იმედი, რომ გაციებითი დაავადებანი გვერდს აგივლიან, ვინაიდან თქვენ გონივრულად უხამებთ ერთმანეთს პროფილაქტიკურ საშუალებებს ცხოვრების ჯანსაღ წესს.

**12-24 ქულა.** თქვენ იზიარებთ ძველ სიბრძნეს: „ვინც არ ზრუნავს თავის ჯანმრთელობაზე, ჰგავს ხელოსანს, რომელსაც თავისი ინსტრუმენტების გალესვისთვის არ სცალია". მიუხედავად ამისა, ეცადეთ, განსაკუთრებით ახლა, მეტი ყურადღება დაუთმოთ საკუთარ ჯანმრთელობას. გაციების დაავადებათა პროფილაქტიკისთვის გამოიყენეთ ისეთი საერთო გამაჯანსაღებელი საშუალებანი, როგორიცაა ძახველი (გარდა ყველა სხვა რამისა, ის გვეხმარება დავმშვიდდეთ და მოვიხსნათ დაძაბულობა), ასკილი, ქაცვი (საუცხოო საშუალებაა იმუნიტეტის ამაღლებისთვის), ლიმონი, მოცხარი, თაფლი, და, რასაკვირველია, ტრადიციული ხახვი და ნიორი. ნუ დაივიწყებთ ფიტოპრეპარატებსაც. ნუ გადაიღლებით და ხშირად იყავით სუფთა ჰაერზე. ნუ დაიზარებთ, გაიკეთოთ აუცილებელი პროფილაქტიკური აცრები, ამის წინ კი სავალდებულოა მიიღოთ ექიმის რჩევები. გახსოვდეთ: დაავადების თავიდან აცილება ყოველთვის უფრო იოლია, ვიდრე მკურნალობა!

**26-40 ქულა.** თქვენ შედიხართ რისკის ჯგუფში. დროა დაფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ შეიცვალოთ ცხოვრების წესი. ეცადეთ, მეტი იმოძრაოთ! დილა დაიწყეთ თუნდაც მსუბუქი ხანმოკლე ვარჯიშით. ეცადეთ თავი აარიდოთ სტრესულ სიტუაციებს და დაიცვათ კვების სწორი რეჟიმი. მარტივი მასაჟის დახმარებით განიმტკიცეთ სისხლძარღვები. დაიზილეთ სამასაჟო ჯაგრისით (ანდა უხეში პირსახოცით) ტერფები და მტევნები, განსაკუთრებით მსუბუქი გასეირნების წინ. ასეთი მარტივი პროცედურა გაგიუმჯობესებთ სისხლის მიმოქცევას, დაგეხმარებათ ადვილად გადაიტანოთ სიცივე. და თუ ამას არასოდეს აკეთებდით მაინც, ექიმთან კონსულტაციის შემდეგ გაიარეთ ვაქცინაცია გრიპის საწინააღმდეგოდ (ერთ-ერთი საწინააღმდეგო მაჩვენებელი შეიძლება გახდეს ალერგია ვაქცინის კომპონენტებზე).

ЗДОРОВЬЕ

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ჯაშუშები საქართველოში: მზერა მოსკოვიდან

**5 ნოემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ წარმოადგინა ინფორმაცია ქვეყნის ტერიტორიაზე იმ პირთა დაკავების შესახებ, რომლებსაც ბრალი ედებათ ჯაშუშობაში რუსეთის სასარგებლოდ. გამოქვეყნდა მათი სახელები. დაკავებულია ცამეტი, ცხრა მათგანი საქართველოს მოქალაქეა (მათ შორის, 6 სამხედრო) და 4 რუსეთელი, იტყობინება კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ოთარ ორჯონიკიძე**

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს განცხადებას მოსკოვის სასარგებლოდ მოქმედი ჯაშუშური ქსელის გაშიფრვის შესახებ, პროვოკაციული უწოდა. წყაროები რუსეთის ძალოვანი უწყებებიდან აცხადებენ, რომ საქართველოში დაკავებულებს არანაირი კავშირი არ აქვს რუსეთის სპეცსამსახურებთან.

რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ბრალდებულთა დაკავების შესახებ ცნობილი გახდა ჯერ კიდევ ოქტომბრის შუა რიცხვებში, მაგრამ მხოლოდ დღეს გამოაქვეყნა მათი სახელები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ. მოსკოვში მიაჩნიათ, რომ ახალი „საჯაშუშო ისტორია" საქართველოში საქართველოს ხელმძღვანელობის პროვოკაციაა. სამხედრო ექსპერტი ალექსანდრ გოლცი დარწმუნებულია, რომ ეს სკანდალი პოლიტიკურად არის მოტივირებული:

– ისინი, ვინც აწყობს ასეთ საჯაშუშო სკანდალებს, მიზნად ისახავენ გარკვეულ მომენტებს, რათა მოახდინონ მოწინააღმდეგის დაზვერვითი ქსელის ლიკვიდაცია, მიაწოდონ მოწინააღმდეგეს დეზინფორმაცია და ა.შ. მათ ამოძრავებთ მხოლოდ პროპაგანდისტული მიზნები. ასე იყო ცივი ომის ეპოქაში, როდესაც უამრავ საბჭოთა დიპლომატებს ყრიდნენ ინგლისიდან და საფრანგეთიდან, ავლენდნენ საჯაშუშო ქსელებს და ა.შ. აქ საქმე სულაც არ შეეხება სამხედრო დაპირისპირების მიღწევის ამოცანას. საკითხი შეეხება ერთგვარი პოლიტიკური მიზნების მიღწევას. და აი, რაღაც მიზეზებით, საქართველოს ხელმძღვანელობას დასჭირდა რუსეთის აგენტების საიდუმლო ქსელის გაშიფრვა, რაც გაკეთდა კიდეც. რამდენადაც ეს შეიძლება გავიგოთ, ქსელი შედგება როგორც საქართველოს, ისე რუსეთის მოქალაქეებისგან. საქართველოს მოქალაქეთა შორის არიან სამხედრო მოსამსახურეები, რაც მთლიანად სავსებით მოსალოდნელი იყო, თუ მხედველობაში მივიღებთ, რბილად რომ ვილაპარაკოთ, რთულ მდგომარეობას ორ ქვეყანას შორის.

უბრალოდ, ყურადღებას მივაპყრობ იმას, რომ, როდესაც მხარეებს სურთ ურთიერთობის გაუმჯობესე-



ბა, ისინი ასეთ სკანდალებს არ აწყობენ. როდესაც მთელი ფონი კეთდება მტრის პროპაგანდისტულ გამოაშკარავებაზე, ურთიერთობათა ასეთი ეტიკისთვის დამახასიათებელია სწორედ ასეთი „საჯაშუშო სკანდალები".

დამოუკიდებელი სამხედრო მიმომხილველს პაველ ფელგენგაუერს ეჭვი ეპარება, რომ ეს საჯაშუშო სკანდალი მოაწყო საქართველომ სპეციალურად რაღაც პოლიტიკური მიზნებისთვის:

– საუბარს იმის შესახებ, რომ ეს სპეციალურად მოაწყვეს რაღაც პოლიტიკური მიზნებისთვის საქართველოს რეჟიმმა და სააკაშვილმა – თუმცა საკითხი არ შეეხება სააკაშვილს (კონტრდაზვერვას იქ აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტროძ – არ გააჩნია რაიმე სერიოზული საფუძველი. ვინაიდან ერთი წლის წინათ, როდესაც მიმდინარეობდა ოპოზიციის დემონსტრაციები, სიტუაცია დაძაბული იყო, შეიძლებოდა გეფიქრა, რომ ხელისუფლებას თავისი პოზიციების განსამტკიცებლად დაეყენებინა საკითხი რუსეთის მხრიდან საფრთხის შესახებ. ახლა კი აქ ყველაფერი წესრიგშია. არანაირი საშინაო სერიოზული ოპოზიცია არ არსებობს. ასე რომ, შინაპოლიტიკური საფუძველი ამისთვის არ არსებობს. აი, ის კი, მართლაც ჯაშუშობდნენ თუ არა დაკავებული პირები, თანაც რა ხარისხით, რასაკვირველია, მე არ შემიძლია, რომ ვთქვა. მაგრამ, რადგანაც საქართველო და რუსეთი, ფაქტობრივად, იმყოფებიან ომის მდგომარეობაში, რაც ამჟამად შეჩერებულია დაზავებით, მაგრამ არ არის არც სამშვიდობო ხელშეკრულება, რასაკვირველია, ორივე მხარე იჯაშუშებს ერთი-მეორის მიყოლებით. ყველა ილაპარაკებს, რომ ყოველგვარი ბრალდება – ეს არის პროვოკაცია. ეს არის სამხედრო სიტუაცია როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან.

– ამ ჯაშუშებს შორის ბევრია საქართველოს მოქალაქე. მათ შორის ბევრი სამხედროა.

– ჩვეულებრივად სამხედროები უწინარეს ყოვლისა, არიან გადმობირების ობიექტები. ეს ნორმალური ამბავია. რუსეთის სამხედრო დაზვერვა (საკითხი, რასაკვირველია, შეეხება სწორედ გენერალური შტაბის მთავარ სადაზვერვო სამმართველოსძ უწინარეს ყოვლისა, რასაკვირველია, ცდილობს გადმოიბიროს სამხედროები, ვინაიდან მათ აინტერესებთ სამხედრო ცნობები.

სახელმწიფო დუმის საერთაშორისო საკითხების კომიტეტის ხელმძღვანელმა კონსტანტინ კოსაჩოვმა განაცხადა, რომ რუსეთს განზრახული აქვს დაიცვას საქართველოში ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი დაკავებული თავისი მოქალაქეები. მისი სიტყვებით, დაკავებულია ხალხი, რომელსაც არავითარი ურთიერთობა არ აქვს სპეცსამსახურებთან და რომელსაც არაფერი გაუკეთებია საქართველოს წინააღმდეგ.

პოლიტოლოგ ვლადიმირ პრიბილოვსკის აზრით, ამ სიტუაციამ შეიძლება კიდევ უფრო გააუარესოს ისედაც რთული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანი:

– ურთიერთობა მიხეილ სააკაშვილსა და ვლადიმერ პუტინს შორის, რომელიც მართლაც კვლავ მართავს ჩვენს ქვეყანას, უკვე ატარებს ვენდეტის ხასიათს. ძნელია გაერკვეს გარეშე პირი ასეთ ურთიერთბრალდებებში. შემიძლია მხოლოდ ვივარაუდო, რომ მასში ზოგი რამ შეიძლება იყოს სიმართლე, ზოგი რამ კი – სრული სიცრუე. მაგრამ მაინც, რასაკვირველია, საქართველოში გაცილებით უფრო დემოკრატიული რეჟიმია, ვიდრე რუსეთში.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, როდესაც აფასებდა საჯაშუშო სკანდალს თბილისში, აღნიშნა, რომ მომენტი ამ სკანდალისთვის შერჩეულია აშკარად არა შემთხვევით მთელი რიგი რეზონანსული საერთაშორისო მოვლენების, კერძოდ კი ნატოს სამიტის წინა პერიოდში.

Radio Free Europe Radio Liberty

# ოღროჩოღრო გზა მოსკოვსა და თბილისს შორის

**რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოს ომიდან ორი წლის შემდეგ ეს ერთი ციცქნა კავკასიური სახელმწიფო კვლავ ხდება პოტენციურად სადავო საკითხად ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის. და თუ ორივე დედაქალაქში, აგრეთვე თბილისში, საკითხს არ მოეკიდებიან სათანადო ყურადღებით, საქართველო კვლავ შეიძლება გახდეს დაბრკოლება არა ამერიკა-რუსეთის ურთიერთობისთვის, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების ბევრი სხვა საგარეოპოლიტიკური მიზნებისთვისაც**

მიუხედავად დამავალდებულებელი განცხადებებისა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის შესახებ, რასაც შეერთებული შტატები ძნელად რომ მიაღწევს რუსეთის ოკუპაციის შემდეგ და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, – ობამას ადმინისტრაცია, არსებითად, შეურიგდა ნამდვილად საქართველოს შემცირებულ ტერიტორიებს ნატოს ფარგლებს გარეთ და თავისი ყურადღება გაამახვილა სხვა პრიორიტეტულ ურთიერთობებზე მოსკოვთან, განსაკუთრებით ირანთან, ავღანეთთან და სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ახალ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. თავის მხრივ, რუსეთი მთლიანად კმაყოფილია თავისი ახალი სტატუსკვოთი, მიუხედავად პერიოდული და ერთგვარად გაბუქებული საჩივრებისა საქართველოს „გადაიარაღებისთვის" ამერიკის მცდელობასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგში საქართველოს გარეშე ამერიკა და რუსეთი დაუახლოვდნენ ერთმანეთს, აგებენ რეალურად, თუმცა ძველებურად პირობით, თანამშრომლობას. და მართალია, ვაშინგტონი და მოსკოვი წინ მიიწევენ, მათ პროგრესს თან ახლავს ახალი წინააღმდეგობა ჰორიზონტზე.

გლობალური საფინანსო კრიზისის შედეგად, რომელშიც რუსეთის ეკონომიკამ იზარალა უფრო მეტად, ვიდრე მოცულობით ნებისმიერმა სხვა დიდმა ქვეყანამ – მოსკოვმა მოახდინა თავისი საგარეოპოლიტიკის პერეორიენტაცია ეკონომიკური ზრდის მხარეს პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის მოდერნიზებული ძალისხმევის დროშის ქვეშ. მართალია, ის დიდად ერთგული არ არის მედვედევის რიტორიკისა და, ალბათ, სკეპტიკურად უყურებს პრეზიდენტის ზოგიერთ იდეას, პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინს აქვს საკონსტიტუციო ვალდებულებანი ეკონომიკის წინაშე, და როგორც ჩანს, ის თავისებურად სერიოზულად აღიქვამს ყოველივე ამათ. მთელი რიგი ცნობების თანახმად, ამის ერთ-ერთი შედეგი გახდა ის, რომ შეერთებული შტატები და რუსეთი სულ უფრო დაუახლოვდნენ შეთანხმებას მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის წევრობასთან დაკავშირებით.

და აქ ავანსცენაზე გამოდის საქართველო. იმის ვარაუდით, რომ ამერიკა და რუსეთი მიაღწევენ შეთანხმებას – რაც გარანტირებული არ არის და ობამას ადმინისტრაციისგან მოითხოვს მეტ ძალისხმევას – მოსკოვსაც დასჭირდება შეთანხმება საქართველოსთან, თუ მას ნამდვილად სურს შეუერთდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას. ასეთი შეთანხმების მიღწევა იოლი როდი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსკოვს არ სურს ჰქონდეს ურთიერთობა საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან, ანდა შეუთანხმდება სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში თავისი ყოფნის შეზღუდვას იმ დროს, როდესაც საქართველოს სწყურია გამოიყენოს ეს იშვიათი შესაძლებლობა რუსეთზე გავლენასთან დაკავშირებით, შეერთებული შტატები კი ცდილობს იხილოს რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და თანაც არ წარმოაჩინოს თავისი ზემოქმედება სააკაშვილზე.

ერთი მხრივ, ეს არის სავსებით გონივრული და ერთადერთი საჯარო თვალსაზრისი, რისი გახმიანებაც შეუძლია ამ შემთხვევაში შეერთებულ შტატებს. თუ მოეჩვენებათ, რომ ვაშინგტონი ზემოქმედებას ახდენს საქართველოზე, ეს შეასუსტებს არა მხოლოდ ამერიკა-საქართველოს ურთიერთობას, არამედ ამერიკის ურთიერთობას ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნებთან, კავკასიაში და შუა აზიაში, რომლებსაც შეიძლება გაუჩნდეთ ახალი ეჭვი ვაშინგტონის მიდრეკილების შესახებ.

მაგრამ, მეორე მხრივ, ურთიერთგაუგებრობის ხანგრძლივი ისტორია და გაცრუებული იმედები ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებში ამგვარ თამაშებს საკმაოდ სარისკოდ ხდის. ამერიკის მონაწილეობის გარეშე მეტად საეჭვო ხდება ის, რომ რუსეთი და საქართველო მიაღწევენ შეთანხმებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის წევრობასთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში. უფრო მეტიც, რუსები აშკარად ელოდებიან, რომ შეერთებული შტატები მოუწოდებს საქართველოს წავიდეს თანხმობაზე. და მაღალი რანგის ამერიკული ჩინოვნიკები კერძო საუბრებში ლაპარაკობდნენ, რომ სწორედ ამას გააკეთებს ამერიკის შეერთებული შტატები. მაგრამ რუსეთელები ბუნებრივად იყვნენ გაოცებული, როდესაც „ადმინისტრაციის მაღალი რანგის ჩინოვნიკისგან" გაიგონეს, რომ ვაშინგტონი ამის მსგავსს არაფერს გააკეთებს. და როგორც ჩანს, ახლა ცდილობენ მიხვდნენ, რომ ისინი ხელოვნურად დააბნიეს.

მკაცრად რომ ვილაპარაკოთ, რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში უფრო მეტად სურს, ვიდრე ამერიკას სჭირდება ის, რომ რუსეთი შევიდეს ამ ორგანიზაციაში, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსეთი არის უდიდესი ეკონომიკა, რომელიც არ შედის ამ ორგანიზაციაში. თუმცა, უფრო დიდი თვალსაზრისით, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის მნიშვნელოვანია რუსეთის შესვლა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში – როგორც იმისთვის, რომ დააკმაყოფილოს მოსკოვის პრიორიტეტები, რაც ამერიკისთვისაც სასარგებლო გახდება, ისე იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს დასავლეთის მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიზნებს მის საქმეებში პოსტსაბჭოთა რუსეთთან – მოახდინოს ამ ქვეყნის ინტეგრირება საერთაშორისო სისტემაში, რომელიც ეფუძნება წესების სისტემას.

National Interest

## დედამიწის ზურგზე



**შვედეთის მეფეს კარლ გუსტავ XVI ბრალს სდებენ მაფიასთან კავშირებში და სექს-ორგიებში მონაწილეობაში**

გამოვიდა წიგნი, რომლის ავტორიც ამტკიცებს, რომ ახალგაზრდობაში პატივცემულ მონარქს უყვარდა გართობა ჯაკუზში მეძავებთან იატაკქვეშა ღამის კლუბებში, რომლებიც მაფიას ეკუთვნოდნენ. და კიდევ 1990-იანი წლების ბოლოს მას კავშირურთიერთობანი ჰქონდა ნიგერიელ მანეკენთან და მომღერალთან.

**ლუკაშენკომ პოლონეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს განუცხადა, რომ რუსეთმა „ხაზი გადაუსვა" სამოკავშირეო ხელშეკრულებას**



ბელარუსის პრეზიდენტმა აგრეთვე გამოთქვა რწმენა, რომ რუსეთი ძალლონეს არ დაიშურებს, რათა მან წააგოს პრეზიდენტის არჩევნები. როგორც ლუკაშენკოს მიაჩნია, ასეთი პოზიცია აიხსნება იმით, რომ მოსკოვს არ მოსწონს ბელარუსის ის სურვილი, რომ არ შევიდეს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში.

**მედვედევმა იაპონიის პრემიერ-მინისტრის რეიტინგი დასცა**



იაპონიის მთავრობის რეიტინგი პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით დაეცა ყველაზე დაბალ დონეზე მისი თანამდებობის დაკავების შემდეგ. ექსპერტები ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ასახელებენ რუსეთთან ურთიერთობის გაცივებას მედვედევის სამხრეთ კურილიის კუნძულებზე ვიზიტის შემდეგ. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს იყო წინასაარჩევნო აქცია.

**სომალიელმა მეკობრეებმა მოკლეს დაკავებული იახტის ერთ-ერთი მგზავრი**

მეკობრეებმა კენიის სანაპიროზე ხელში ჩაიგდეს ტურისტული იახტა. მათ დახვრიტეს მამაკაცი, რომელმაც უარი განაცხადა ბორტიდან ჩამოსვლაზე. ბორტზე იმყოფებოდნენ აგრეთე ქალი და ბავშვი. მეკობრეებმა ისინი გადმოსვეს სანაპიროზე და წაიყვანეს გაურკვეველი მიმართულებით. მეკობრეები ამტკიცებენ, რომ ხელში ჩაიგდეს ბრიტანელები, სხვა მონაცემებით – სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოქალაქეები.



ცნობარი

# სად გინდათ, რომ დარეკოთ?

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 36-40-11; 36-50-11; 422-422; 91-37-51; 91-37-52.
2. აეროპორტში დახვედრა-გაცილება 18-22-44; 899 33-33-53.
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 34-26-92.
4. ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი 37-69-50; 45-45-33.
5. ავტომანქანების გაქირავება 895-33-21-00.
6. ამინდის ბიურო 43-95-31; 45-95-32.
7. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 31-04-21.
8. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 99-66-04.
9. გაზი გამოძახებით 008; 92-32-46; 92-10-08.
10. შპს „აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“ 53-06-32.
11. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 40-52-22.
12. გაზის საავარიო (ქალაქის) 04; 38-40-65, 37-78-91 (საავარიო);
38-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო).
13. ჯანდაცვის სამინისტრო 94-34-98 (ცხელი ხაზი); 94-49-11.
14. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 20-62-32.
15. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 21-21-84; 21-21-94.
16. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ინტერნეტით 50-60-06.
17. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 99-10-58.
18. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 25-52; 25-52-11.
19. „თელასის“ ცხელი ხაზი 77-99-99; 27-44-11.
20. შპს „იმუნიზაციის ცენტრი“ 31-22-78.
21. იუსტიციის სამინისტრო 40-52-02.
22. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება რეფერალური პროგრამით მხოლოდ სტაციონარებიდან 53-11-73; 877 45-20-01.
23. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია 38-61-40 (პრესსამსახური); 31-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი).
24. კონტროლის პალატა 43-81-81 (ცხელი ხაზი); 43-81-78 (კანცელარია).
25. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 93-11-11.
26. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 43-11-00.
27. მერიის ცხელი ხაზი 72-22-22.
28. მერიის ცხელი ხაზი — ცხოველებისგან დაზარალებულთა დახმარება 54-04-43.
29. მერიის სამოქალაქო მონაწილეობის და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური 37-81-44; 37-81-53.

## ყველა ზარი ხელსატაცად

30. ნავთლუღის ავტოსადგური 74-83-03; 74-63-23.
31. სახალხო დამცველი 99-58-98; 92-24-79; 92-31-66.
32. რკინიგზის სადგური 56-35-66; 56-47-60.
33. სახანძრო-სამაშველო ოპერატიული სამსახური 01, 011, 75-20-85; 41-17-71; 41-17-72.
34. საპატრულო პოლიცია 022.
35. „სასწრაფო სამედიცინო დახმარება 033“; 03; 54-70-04; 54-70-03.
36. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 478-478; 871 478-478.
37. საქართველოს მთავრობის კანცელარია 92-26-87 (მისაღები).
38. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 28-47-47; 28-48-22; 28-48-93; 28-48-96 (ცხელი ხაზი).
39. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების ცენტრი 077.
40. სადღელამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 22-67-22; 10-30-50; 899 57-64-12.
41. სოფლის მეურნეობის სამინისტროს გენინსპექციის ცხელი ხაზი 37-80-50.
42. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 61-30-90; 61-30-21.
43. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების გატანა 45-20-23.
44. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 25-22-72 (ადმინისტრაცია); 25-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა).
45. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის, მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 53-09-67.
46. ტაქსი გამოძახებით 93-91-00.
47. ტრეფიკინგის მსხვერპლთა და უცხოეთში წამსვლელთა ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება 100-229.
48. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 51-70-34; 41-10-68 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება).
49. ფინანსთა სამინისტრო 26-14-12; 26-14-10 (კანცელარია); 26-24-09.
50. ფინანსთა სამინისტროს სატელეფონო ცენტრი, საგადასახადო კონსულტაციები 007.
51. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 895 24-77-77.
52. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 25-01-45; 22-54-17.
53. „ყაზტრანსგაზი“ 20-04-04 (გაზიფიცირების სამსახური).
54. „ყაზტრანსგაზის“ საინფორმაციო 31-04-04.
55. „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ 93-14-28; 877 71-17-20.
56. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 98-39-43; 99-53-50.
57. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 41-40-63; 41-42-63.
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 74-62-67.
59. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 75-34-33.
60. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 39-95-08 (რეგისტრატურა).
62. წყალკანალის ექსპლუატაციის სამსახური 48-72-88 (უფროსი მორიგე).
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 93-11-11.

ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● **1905 წელს** ცუსიმის საზღვაო ბრძოლაში იაპონიის ფლოტმა რუსეთის იმპერიის ფლოტი გაანადგურა.

● **რამდენიმე** ხნის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდა გამოკითხვა, რომლის თანახმადაც, მოზრდილების აზრით, ამერიკის ხსენებაზე სხვა ქვეყნის მოქალაქეებს თავისუფლების ქანდაკება წარმოუდგებათ თვალწინ, ამერიკელი ბავშვების უმრავლესობა კი ფიქრობს, რომ ამერიკას წარმოადგენს მიკი-მაუსი, „მაკდონალდსი“, „კოკა-კოლა“ და ცათამბჯენი „ტყუპი“, რომელიც დღეს აღარ არსებობს.

● **ქოლგა** ჩინეთში გამოიგონეს და ის იმპერატორს ოთხსართულიანი ჰქონდა, იაპონიის იმპერატორს წითელი, დაგომეის მეფეს — 84 კაცის ყბითა და ერთი თავის ქალით შემკობილი, ინდოეთის პრინცებს კი მას საფლავში ატანდნენ. ქოლგა ვატერლოოს ბრძოლის დროს ინგლისელი კავალერისტების აღჭურვილობაშიც შედიოდა. ქოლგა ჩინეთიდან პირველად ინგლისში შეიტანეს, შემდეგ კი ევროპაშიც გავრცელდა. XIX საუკუნეში მას დამატებითი ფუნქციაც ჰქონდა: ქუდის, მეხამრიდის, სათვალისა და ნესესერის. მხოლოდ 1808 წლიდან 1850 წლამდე პარიზში მისი 120 ყველაზე მახვილგონივრული გამოგონება დააპატენტეს.

● **1850 წელს**, როდესაც ინგლისელი გლინტეი პირველად გამოვიდა ლონდონის ქუჩაში ქოლგით, მეეტლეებმა, რომლებიც წვიმიან ამინდში დიდ თანხას შოულობდნენ, მას სცემეს, რადგან ქოლგა თავიანთი ბიზნესის კონკურენტად მიიჩნიეს.

● **იაპონიაში**, თავის დროზე, დაბალ ფენას მზისგან დასაცავად უფლება ჰქონდა, ფართოფარფლებიანი ქუდები გამოეყენებინა, მაღალი წრის წარმომადგენლები კი მზისგან თავს ქოლგით იცავდნენ.

შეკრიბა
ტიტე კოპალეიშვილმა.

PGIP

PGIP

კალათბურთი

# არის ასეთი გუნდი!



**ბევრჯერ გვსმენია, ქართული სპორტი მხოლოდ თბილისი არ არისო. ეს რომ ასეა, ბათუმის „ბასკოსა“ და რუსთავის „ენერჯი ინვესტის“ მაგალითებიც ადასტურებს, თუმცა სუპერლიგის ახალ სეზონში ისეთი გუნდი გამოჩნდა, თვითმყოფადი ქუთაისური კალათბურთის აღორძინებაზე რომ გაგვიჩინა იმედი.**

კვიმსაძე (22 ქულა), ბერიშვილი, ბოლქვაძე, ლომინაშვილი და ძმანი მათნი, მართალია, საიუბილეო – XX ეროვნული ჩემპიონატის სტარტზე ფავორიტ ქვემოქართლელებთან უკანასკნელ წამებზე დამარცხდნენ, მაგრამ მდიდარი პოტენციალი სრულად II ტურის შეხვედრაში უბერებელი ლევან მოსეშვილის გაწვრთნილ ამბიციურ დებიუტანტთან – „არმიასთან“ გამოავლინეს, რომელსაც 82:78 სძლიეს.

აღსანიშნავია, რომ ბაჩო ახალაიას უწყების გუნდს მხარს ეროვნული დროშების ფრიალითა და სასულე ორკესტრის მიერ დაგუგუნებული მარშებით ორგანიზებულად მოყვანილი მრავალრიცხოვანი პირადი შემადგენლობა უჭერდა, მაგრამ სტუმართა შემართებასთან ისიც უძლური აღმოჩნდა.

რამდენიმე წამი დააკლდა თსუ-სთან სენსაციურ გამარჯვებამდე სამი ამერიკელით გაძლიერებულ „სოხუმს“ – 93:94. ალბათ, ბედის ირონიაა, რომ საბედისწერო შეცდომა მსაჯის საფინალო სასტვენის წინ ზღვისპირელთა ლიდერმა ფარლალავამ დაუშვა. მატჩის გმირმა ფანჩულიძემ სტუდენტებს 34 ქულა შესძინა.

**გიორგი შოთაძე**

ჭადრაკი

# ხუგაშვილი მსოფლიოს ჩემპიონია



**დიდოსტატი თამარ ხუგაშვილი ვეტერანთა შორის მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორია. შარშან მან ევროპის პირველობაც მოიგო. წლეულს ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონ და სენიორთა 2009 წლის მსოფლიოს პირველობის გამარჯვებულ ნონა გაფრინდაშვილთან ერთად იტალიურ არკოში ეჯიბრებოდა 50 წელს გადაცილებულ მოჭადრაკეებს.** ბოლო ტურში ხმიადაშვილმა რუსი ნინა შუშპანოვა დაამარცხა, 9 შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა და ვეტერანებში კვლავ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილზე ნონა გაფრინდაშვილი გავიდა. მესამე ადგილი ესტონელ ტატიანა ფომინას ხვდა.

მამაკაცებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ანატოლი ვაისერი (საფრანგეთი), 2. ვლასტიმილ იანსა (ჩეხეთი), 3. ვიაჩესლავ დიდიშკო (ბელარუსი).

გამარჯვებულსა და პრიზიორებს მედლებთან ერთად ფულადი ჯილდოებიც გადაეცათ.

**ლექსო ცინცაძე**

მემორიალი

# ნაზი ისევ ბობოქრობს



**ქართველი დიდოსტატი ნაზი პაიკიძე ბოლო დროს მშობლებთან ერთად რუსეთში ცხოვრობს და იქაურ შეჯიბრებებშიც ხშირად მონაწილეობს წარმატებითაც. წლეულს მან „აეროფლოტის“ ტურნირზე სალომე მელიასთან ერთად პირველ-მეორე ადგილები გაიყო, მერე მოსკოვის ჩემპიონატი მოიგო, რუსეთის უმაღლესი ლიგის პირველობაზე ყველას აჯობა, რეიტინგიც აიმაღლა და საუკეთესოთა ასეულშიც ყოველთვიურად წინ-წინ მიიწევს.** აი, ახლაც, სანკტ-პეტერბურგში მიხეილ ჩიგორინის მემორიალზეც იყოჩაღა. ცხრატურიან მარათონში ორ საერთაშორისო ოსტატ და შვიდ დიდოსტატ მამაკაცს შეხვდა. მათთან ჭიდილში 5,5 ქულა მოაგროვა, რაც საკმარისი აღმოჩნდა ქალებში პირველი ყოფილიყო (ვაჟებში საერთაშორისო ოსტატის ნორმა შეასრულა). მართალია, ამდენივე ქულა მოაგროვეს რუსებმა – ევგენია ოვოდამ და ანასტასია ბოდნარუკმა, მაგრამ ისინი უარესი კოეფიციენტით მეორე-მესამე ადგილებს დასჯერდნენ.

საერთოდ, მემორიალში კი 7,5 ქულით პირველი იყო აზერბაიჯანელი ელთაჯ საფარლი. 7-7 ქულით მეორე-მესამე ადგილები ივან სოკოლოვსა (ბოსნია-ჰერცეგოვინა) და ალექსანდრ პრაშჩენკოს (უკრაინა) ერგოთ.

**ლაშა დიდია**

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური



**მას შემდეგ, რაც რამდენიმე კვირის წინათ თბილისის „დინამომ“ ზესტაფონში უშუალო კონკურენტი დაამარცხა და XXII ეროვნული ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი გახდა, ძნელად თუ წარმოიდგენდა კაცი, რომ მალე ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი გუნდის თავკაცს კახი კაჭარავას მწვრთნელობიდან წასვლა მოუწევდა. არადა, თუ „თეთრ-ლურჯთა“ ბანაკიდან გამოსულ ხმებს დავუჯერებთ, მოვლენები სწორედ ასე ვითარდება.**

მართალია, კლუბის მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე აღნიშნულ ინფორმაციას არ ადასტურებს და დიპლომატიურად გვპასუხობს – ჯერ გადაწყვეტილი არაფერია და ყველაფერი ახლო მომავალში თვით „კაჭოსთან“ ერთად გადადგომის შესახებ მისი განცხადების ერთობლივად განხილვის შემდეგ გაირკვევაო, მაგრამ, მოგეხსენებათ, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება, ბოლის ავარდნას კი ხელი დილმელთა მიერ უკანასკნელ საშინაო შეხვედრებში ქვირფასი ქულების დაკარგვამ შეუწყო.



ქირურგიული ჩარევა ზუგდიდის „ბაიასთან“ XIV ტურის მატჩის ფრედ დასრულებამ დააჩქარა – 0:0. იმავე დღეს მოქმედმა ჩემპიონმა რუსთავის „ოლიმპმა“ შინ კვახაძის მიერ დებიუტშივე რიკოშეტის დახმარებით შესრულებული ზუსტი საჯარიმოთი ზემოთ უკვე ნახსენებ კიდევ ერთ ფავორიტს „ზესტაფონს“ სძლია – 1:0 და წამყვან პოზიციამდე აღზევდა.

მორიგი სკანდალი აგორდა სამტრედიაში, სადაც არსენ ნონიკაშვილის მსაჯობით უკმაყოფილო მასპინძელთა მწვრთნელმა მამუკა მესიაჩენკომ და იქაურთა ძომაგებმა ისეთი ემოციები გადმოარფქვიეს, რომ „შაოსანი“ მინდვრიდან შესვენებაზე პოლიციის გასაყვანი გახდა. კიდევ კარგი, ჩომახიძემ 63-ე წუთზე სტანდარტული მდგომარეობიდან დააწინაურა პარტნიორები – 1:0, თორემ როგორ მოხერხდებოდა აღშფოთებული ტრიბუნების დაშოშმინება, ძნელი სათქმელია.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ოლიმპი“ – 27, „დინამო“ – 26, „ზესტაფონი“ – 25 ქულა.

**ბომბარდირი:** მოდებაძე („ოლიმპი“) – 8 გოლი.

* * *

**იტალია.** „ლაციო“ – „რომა“ 0:2, „ინტერი“ – „ბრეშია“ 1:1, „ბარი“ – „მილანი“ 2:3.

**ესპანეთი.** „რეალი“ – „ატლეტიკო“ 2:0, „ხეტაფე“ – „ბარსელონა“ 1:3, „ვილიარეალი“ – „ბილბაო“ 4:1.

**ინგლისი.** „ლივერპული“ – „ჩელსი“ 2:0, „არსენალი“ – „ნიუკასლი“ 0:1, „მანჩესტერი“ – „ვულვზი“ 2:1.

**გერმანია.** „ჰანოვერი“ – „ბორუსია“ 0:4, „ფრაიბურგი“ – „მაინცი“ 1:0, „გლადბახი“ – „ბავარია“ 3:3.

**პორტუგალია.** „პორტუ“ – „ბენფიკა“ 5:0.

მსოფლიოს ჩემპიონატი

# „ოქროს“ სამბოშიც ვერ შევწვდით



**უზბეკეთის დედაქალაქში მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების წინ საქართველოს სამბისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ თქვა, რომ ჩვენი ფალავნები ტაშკენტში 5-6 მედალს მოიპოვებენ და ერთი, ალბათ, უმაღლესი სინჯისა იქნებაო. გასულ უქმეებზე ქართველმა სამბისტებმა მართლაც მოიხვეჭეს ხუთი ჯილდო, მაგრამ მათში ოქრო არ ურევია, არადა, სამი მოჭიდავე ძალიან ახლოს იყო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურთან.**

62 კილოგრამ წონით კატეგორიაში ორგზის ევროპის ჩემპიონი დავით სვიმონიშვილი ფინალში გავიდა, მაგრამ ბოლო ბარიერი ვეღარ გადალახა – ყაზახ აზამატ მუკანოვთან დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა. ასევე, გადამწყვეტი ორთაბრძოლები დათმეს ლევან ნახუცრიშვილმა (68) ბელარუს დიმიტრი ბასილევთან და ლევან წიკლაურმა (82) რუს რაის რახმატულინთან, რის გამოც მეორე ადგილებს დაჯაბულდნენ.

საქართველოს სპორტულ დელეგაციას ბრინჯაოს მედლები შესძინეს მინდია ბოლქვაძემ (90) და ალექსი დავითაშვილმა (მძიმე წონა). სამწუხაროდ, კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდნენ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებულები და პრიზიორები – უშანგი კუზანაშვილი (52), მირიან პავლიაშვილი (100) და ავთანდილ ცინცაძე (57).

საერთო გუნდურ ჩათვლაში 34 ქულით რუსებმა გაიმარჯვეს, 27 ქულით მეორეზე ბელარუსები გავიდნენ, ჩვენს ნაკრებს 22 ქულით მესამე ადგილი ხვდა.

**გივი გაგუა**

ინტერნეტიდან

## პუტინი და „ფორმულა-1“

**კვირას რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა პრეზენტაციის ჩარჩოებში გამოსცადა „ფორმულა-1“-ის სარბოლო მანქანა, ეს მოხდა ლენინგრადის ოლქში.**

ამ კლასის სამი მანქანა 6 და 7 ნოემბერს გამოფენილი იყო სანქტ-პეტერბურგის ოსტროვსკის მოედანზე. ორი მანქანა ახალგაზრდულია, ხოლო ერთი მონაწილეობს გრან-პრის შეჯიბრებებში. პუტინი გამოეწყო მრბოლის სპეციალურ კომბინეზონში, რომელზეც ამოქარგული იყო პრემიერის ინიციალები, და მუზარადში რუსეთის გერბითა და წარწერით „როსია“. იგი რამდენიმე საათის განმავლობაში დაქროდა სპეციალურად მოწყობილ ტრასაზე. გამოცდის შემდეგ, სპეციალისტებმა კომპიუტერზე, ბოლიდიდან ყველა მონაცემებს რომ აგროვებს, პუტინს აჩვენეს მაქსიმალური სიჩქარის მონაცემი, რომელიც მანქანაზე პრემიერმა განავითარა – 240 კმ/საათში.




## ობამამ კალათბურთი გაიხსენა

**თუმცა მას შემდეგ ორი თვე გავიდა, მაგრამ „ოკლაჰომას“ თავდამსხმელმა კევინ დიურანტმა მხოლოდ ახლა გაამჟღავნა ის ფაქტი, რომ სექტემბერში მან კალათბურთი ითამაშა აშშ პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან ერთად.**

როგორც ცნობილია, დიურანტი არ იყო მიწვეული ქვეყნის მეთაურთან სპეციალურ შეხვედრაზე, რომელიც 8 აგვისტოს გაიმართა. მაშინ ფორტეში მაკნეირ კოზი ბრაიანტმა, ლებრონ ჯეიმსმა, დუეინ უეიდმა, კარმელო ენტონიმ და კრის პოლმა პრეზიდენტთან ერთად ითამაშეს ერაყში მყოფი აშშ ჯარების დაჭრილი მებრძოლების წინაშე. მოგვიანებით დიურანტის აგენტებმა პრეზიდენტის თანაშემწის რეჯი ლავას დახმარებით შეძლეს ობამასთან შეხვედრაზე მოლაპარაკება და თითქმის ერთი თვის შემდეგ, 18 სექტემბერს ის შედგა.

„აშშ პრეზიდენტთან კალათბურთის თამაშმა დაუჯერებელი გრძნობა გამოიწვია. რასაკვირველია, მე მთელი ცხოვრება ვოცნებობდი ამაზე. მე თავად ვაშინგტონიდან ვარ და ობამას ნახვა ძალზე მაინტერესებდა. სასიამოვნოა, რომ ეს შეხვედრა შედგა. მე ის მთელ დარჩენილ სიცოცხლეში მემახსოვრება“, – გაუმჟღავნა პრესას კალათბურთელმა.

## მამაკაცები მისთვისაც შეიცვალნენ?

**„მამაკაცები ახლა შეიცვალნენ, ძალზე ძნელია შესაფერისის მოძებნა“, – ეს სიტყვები ეკუთვნის იტალიელ მოდელს ბარბარა გუერას, ცნობილი რომ გახდა სპორტულ სამყაროში თავისი რომანით იტალიელ ფორვარდთან მარიო ბალოტელისთან.** ახლა კი მას ფეხბურთთან აკავშირებს პროფესიონალური დამოკიდებულება – ის ევროპის ლიგის სახეა იტალიაში, თუმცა ფეხბურთელებთან რომანებს აღარ მისდევს.

ვიმედოვნებთ, რომ ბარბარა მაინც მიაგნებს მამაკაცს სერიოზული დამოკიდებულებისთვის. ლამაზმანი ამის ღირსია!



◉ გასული კვირის ქრონიკები

# თემო ჯაფარიძის სადღეგრძელოდ...




**რა თქმა უნდა, ეს წარდგენა გიორგობის თვეს უხდებოდა, უნიჭიერესი შემოქმედის თემო ჯაფარიძის ერთ ალბომში მოქცეული ფერწერა, გრაფიკა, კოლაჟი, ქანდაკება, სწორედაც რომ გიორგობისთვის ამ მყუდრო საღამოს უნდა მომხდარიყო რუსთაველზე, მაგთიკლუბში შეკრებილი შემოქმედებითი ინტელიგენციის წინაშე უამრავ ეროვნულ საქმეთა განმახორციელებელ კომპანია „მაგთიკომის" მიერ. „მაგთიკომი" ჭეშმარიტად ამართლებს თავის დევიზს: „ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ". იგი გვერდში უდგას ქართველ შემოქმედთ, ლიტერატურისა და ხელოვნების საამაყო წარმომადგენელთ და თავისი ქველმოქმედებით მაგალითს აძლევს უამრავ კომპანიასა თუ ფირმას. აი, ბოლო დროის ფაქტიც: „მაგთიკომს" გამორჩეული ქართველი მხატვრის, მწერლის, კინომსახიობის თემო ჯაფარიძის ფერწერის, გრაფიკის, კოლაჟის, ქანდაკების საუკეთესო ნიმუშები საგულდაგულოდ შეურჩევია და უნიკალურად, თვალწარმტაცად გამოუცია.**

...მე მომსწრე ვარ მხატვრობაში თემო ჯაფარიძის პირველი ნაბიჯებისა... მე მახსოვს თემო ჯაფარიძე უნივერსიტეტის ბაღში, „შოთა ჩანტლაძის უნივერსიტეტში" გამორჩეული გარეგნობითა და სიტყვაძუნწობით, ოღონდ, რასაც იტყოდა, იმას უყოყმანოდ იზიარებდა „შოთა ჩანტლაძის პარლამენტი". უპირველესად, სწორედ შოთამ იცოდა თემო ჯაფარიძის დიდი ნიჭის ფასი...

მერე იყო მსხვრევა სიცრეალიზმში გაბატონებული კლიშეებისა — სახვით ხელოვნებაში მოდიოდნენ ნონკონფორმისტები, „მეამბოხენი", რომელთაც სულ სხვა სათქმელი ჰქონდათ, სხვა ფორმასა და შინაარსს გვიჩვენებდნენ ფერტილოებზე... თემო ჯაფარიძე მათ წინა რიგებში იდგა, ქმნიდა საკუთარ სამყაროს, იწვევდა დამთვალიერებელთა განუზომელ ინტერესს, თუმცა გამოფენა სულ რამდენიმე დღეს გრძელდებოდა, თანაც სუკ-ის გულმოდგინე თვალთვალის ქვეშ...

მაგთიკლუბის მყუდრო დარბაზში (მოგვიანებით რომ კარგმა ორკესტრმა და მომღერლებმა აახმაურესძ შეკრებილ გამორჩეულ ინტელექტუალებს, თემო ჯაფარიძის კოლეგებს და სულიერ მეგობრებს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ქალბატონი ნანა შერვაშიძე (იგია, აგრეთვე, ალბომის წინასიტყვაობისა და ტექსტის ავტორიძ ესაუბრა მხატვრის შემოქმედების შესახებ.

**„თემო ჯაფარიძის მიერ 1970-იანი წლებიდან დღემდე განვლილი შემოქმედებითი გზა სავსეა მოულოდნელი**


თ. ჯაფარიძე — „ჯვარცმული თემა"

**და ორიგინალური ექსპერიმენტებით. მხატვარი ეძებს და იყენებს ახალ სახვით ხერხებსა და მასალას საკუთარი მსოფლმხედველობისა და პოზიციის მხატვრული განსახიერებისთვის. 1960-იანი წლების ბოლოს ეს ძიება ფერწერის, სკულპტურის, კოლაჟისა და პოპარტის ელემენტების ურთულეს სინთეზში გამოვლინდა...**

**...თემო ჯაფარიძე ქართული ნონკონფორმისტული ხელოვნების ერთ-ერთი პირველი და აშკარად გამოხატული თვითმყოფადობის მქონე მხატვარია. მისი ყველა ნაწარმოები არის პასუხი სამყაროში ადამიანის არსებობის ურთულეს საკითხებზე. ყოფიერებისა და ადამიანის დანიშნულების ფილოსოფიური განსჯა მისი ნამუშევრების ძირითადი ტექსტია"...**

გამოდიოდნენ მისი მეგობრები, კოლეგები, აქებდნენ თემოს პიროვნებასა და შემოქმედებას, იგონებდნენ სხვადასხვა ცხოვრებისეულ მომენტებს, მაგიდებზე ჩამორიგებული საუკეთესო ღვინით უსურვებდნენ დღეგრძელობას...

იჯდა იგი ამ ხალხში, „თავისიანებში" — საოცრად მორიდებული, მადლიერი ამ ადამიანებისა, კომპანია „მაგთიკომისა" ასეთი უნიკალური ალბომის გამოცემისა და საღამოს გამართვის გამო, მოგვიანებით ასეთი სურათიც ვიხილეთ: „მაგთიკომის" თანამშრომლებმა, თემოს ალბომი რომ იქ დამსწრეთ სათითაოდ მიართვეს, რიგი დადგა მხატვრის წინ, ყველას სურდა მისი ავტოგრაფი და ისიც, ფლომასტერმომარჯვებული, უშურველად არიგებდა.

მეც მხვდა ეს ავტოგრაფი — „სიყვარულით ვილენს", რაც, სწორედაც რომ უძვირფასესია ჩემთვის.

# კიტა ბუაჩიძის მოსაგონრად...




**ეს საღამო კი ლიტერატურის მუზეუმის სააქტო დარბაზში გაიმართა და ცნობილი დრამატურგისა და პუბლიცისტის კიტა ბუაჩიძის რჩეულ თხზულებათა გამოცემას მიეძღვნა.**

ჩვენ უკვე ვწერდით ამ გამოცემის შესახებ და დიდი მადლიერებაც გამოვთქვით ბატონ კიტას ქვრივის ქალბატონ **თინათინ ბარამიძის** მიმართ, რომელმაც რა არ ილონა, რომ ამ კრებულს მზის სინათლე ეხილა.

კრებულში დაბეჭდილია ბატონი კიტას მძაფრი პუბლიცისტიკით აღბეჭდილი წერილები, მამულიშვილური გამოსვლები პრესაში, ჭეშმარიტად ერის სამრეკლოზე მდგარი კაცის ყოველდღიური ღაღადისი, რომ ქვეყანა, მისი მომავალი გადასარჩენია... აქ დაბეჭდილია ორი დაუდგმელი პიესა და მოგონებები ამ უკომპრომისო, ცოტა უცნაურ ადამიანზე, რომელიც თავისი პრინციპების ერთგული დარჩა სიცოცხლის ბოლომდე.

მეუფე თადეოზის დალოცვის შემდეგ ბატონ კიტას იგონებდნენ ჩვენი მწერლობის თვალსაჩინო ადამიანები, იგონებდნენ და სინანულით აღნიშნავდნენ, რომ სწორედ კიტა ბუაჩიძის სადარი პიროვნებების ნაკლებობაა დღევანდელ საქართველოში, რომ საგანგაშო ზარების დარისხება, სწორედაც რომ ახლა გვჭირდება, როდესაც ქვეყანა შემგუებლობის, ინდიფერენტიზმის ჭაობშია ჩაფლული...

...დარბაზში კი, თითქოს, ბატონი კიტას სულის ნათელი იდგა.

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ ძველ თბილისს შეემატა

# რეზო გაბრიაძე რას არ მოიფიქრებს...



**სამი წელი შენდებოდა ეს ულამაზესი კოშკი ძველ თბილისში, ანჩისხატის წინ, მარიონეტების თეატრთან და მალე იგი სწორედ განახლებული მარიონეტების თეატრის შენობის განუყოფელ ნაწილად იქცევა. საქმე ის არის, რომ კოშკზე მოწყობილია თოჯინების საათი, რომელიც საათში ერთხელ რეკავს ოქროსფრთიანი ანგელოზის მეშვეობით. გამოდის ანგელოზი ჩაქუჩით, ურტყამს ზარს და ისევ კოშკში შედის... დღეში ერთხელ კი თოჯინები გამოდიან სხვადასხვა პერსონაჟების როლში...**

**ერთი სიტყვით, ჩვენი სახელოვანი დრამატურგისა და რეჟისორის რეზო გაბრიაძის, მოქანდაკე გელა ჯანგირაშვილის და სხვათა მონდომებით, მართლაც შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს ნორჩებმა თავიანთი საყვარელი თეატრის წინ. დარწმუნებული ვართ, რომ ამ ადგილს დიდ-პატარა დამთვალიერებელი და ცნობისმოყვარე ყოველდღე ბლომად ეყოლება. საათის ავტორთა მიზანიც ხომ ეგ იყო!**

**ელგუჯა ნადარეიშვილი**
**ავტორის ფოტო.**







## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7796 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4856 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8584 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.7828 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემისა და განაწილების მიმართულების პროფესორი, მაღალი ძაბვის ტექნიკის ცნობილი სპეციალისტი და მკვლევარი, უკეთილშობილესი ადამიანი და ღირსეული მამულიშვილი**

**ზურაბ ბაბუნაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**



გივი გადელია თანაგრძნობას უცხადებს ბატონ გია ბაბუნაშვილს და ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მისი ძვირფასი ძმის, ცნობილი მეცნიერის

ზურაბ ბაბუნაშვილის

გარდაცვალების გამო. გამოსვენება 9 XI, 15 საათზე. ფანასკერტელის 19-დან.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ალექსანდრე კუჭუხიძე, ნოდარ ჭითანავა, ჯიმი მიქელაძე, პარმენ ლემონჯავა, რომან კუჭუხიძე, თამაზ იმედაძე, ლეო ჩიქავა, სოსო ძნელაძე, გიორგი ხაზარაძე, თამაზ დანელია, გივი გადელია, პავლე გარუჩავა, როზეტა ასათიანი, გურამ გვეტაძე, რევაზ გოგოხია, მერაბ ზედგენიძე, გოვი თოდუა, გივი კვიჭიძე, ქართლოს კანდელაკი თანაგრძნობას უცხადებენ ამავე აკადემიის აკადემიკოსებს — ძმას გია ბაბუნაშვილსა და ბიძაშვილს თეიმურაზ ბაბუნაშვილს პროფესორ

ზურაბ ბაბუნაშვილის

გარდაცვალების გამო.

## იჩქარეთ, გამოიწერეთ!

# ყველაზე იაფი სახალხო გაზეთი – საქართველოს რესპუბლიკა

### რომელიც 1918 წლიდან გამოდის

ჩვენ კვირაში ხუთჯერ გამოვდივართ, კვირისა და ორშაბათის გარდა. ამ ხუთი დღის განმავლობაში მკითხველს მარტო ჩვენი გაზეთის საშუალებით შეუძლია, სრულად მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, გაეცნოს აგრეთვე ამ მოვლენების სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს.

გაზეთის რედაქცია შეძლებისდაგვარად ყოველთვის ცდილობდა და კვლავაც შეეცდება, რომ ჩვენი გაზეთის „სუფრაზე“ ყოველგვარი გემოვნების მკითხველმა დაიკმაყოფილოს თავისი ცნობისმოყვარეობის „მადა“.




ამ თვალსაზრისით ჩვენ მუდამ ვიყავით და მომავალშიც დავრჩებით ყველაზე სანდო, ჭეშმარიტ სახალხო გაზეთად, რომლის ფურცლებიდანაც თვითონ ხალხი ლაპარაკობს თავის გულისნადებს.

ვისაც უნდა, რომ მომავალი წლიდან ფოსტამ ყოველ სისხამ დილით „საქართველოს რესპუბლიკის“ ცხელ-ცხელი ნომერი მიაწოდოს, შევახსენებთ იმ ორგანიზაციების ტელეფონის ნომრებს, რომლებიც შეუზღუდავად გამოგიწერენ გაზეთს: „მაცნე“ – 37-61-53; „პლანეტა „ფორტე“ – 93-38-75; „პრესექსპრესი“ – 96-23-11; „ელვასერვისი“ – 38-80-02; „ჯეომედია“ – 95-51-70; „საქპრესა“ – 51-59-05; „საქპრესა+“ 51-57-43; „ინფო“-2007 – 34-11-40; „პრეს+“ 14-23-97.


## მილოცვა

ვულოცავთ ბატონ მერაბ გერძენიშვილს, ცნობილ ხელოვანს, საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარეს – ქართული კულტურისა და ხელოვნების დარგში გაწეული ღვაწლისათვის – ილია ჭავჭავაძის სახელობის ფონდის საპატიო ჯილდოს მიღებას.

პატივისცემით
საქართველოს კულტურის ფონდის თანამშრომლები

## დღის კალენდარი — 9 ნოემბერი

ხსენება მოწამისა ნესტორ თესალონიკელისა (დაახლ. 306ძ; მოწამეთა კაპეტოლინასი და ეროტეისისა (304ძ; მოწამისა მარკოზისა და მისთანათა.



ამოდის 06.42
ჩადის 16.47



ამოდის 10.07
ჩადის 19.20

### დაიბადნენ:

**1818 – ივან ტურგენევი, რუსი მწერალი,** გარდაიცვალა 1883 წელს.

**1841 – ედუარდ VII,** ინგლისის მეფე, გარდაიცვალა 1910 წელს.

**1845 – ევგენი ვეიდენბაუმი,** კავკასიოლოგი, არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების ერთ-ერთი დამფუძნებელი, გარდაიცვალა 1918 წელს.

**1888 – ჟან მონე,** ფრანგი ეკონომისტი, ევროპის ინტეგრაციის ინიციატორი, გარდაიცვალა 1959 წელს.

**1901 – სოლომონ ყუბანეიშვილი,** ქართველი ლიტერატურათმცოდნე, გარდაიცვალა 1986 წელს.

**1910 – დავით თავხელიძე,** ქართველი მეცნიერი მექანიზმებისა და მანქანების თეორიის დარგში.

**1917 – ინდირა განდი,** ინდოეთის პრემიერ-მინისტრი, დაიღუპა 1984 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**959 – კონსტანტინე პორფიროგენეტი,** ბიზანტიის იმპერატორი.

**1907 – ალექსანდრე (ალექსი) ოქროპირიძე,** ქართველი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე.

**1918 – გიიომ აპოლინერი,** ფრანგი პოეტი, დაიბადა 1880 წელს.

**1940 – ნევილ ჩემბერლენი,** ინგლისის პრემიერ-მინისტრი, დაიბადა 1869 წელს.

**1952 – ხაიმ ვეიცმანი,** ისრაელის პირველი პრეზიდენტი, დაიბადა 1874 წელს.

**1970 – შარლ დე გოლი,** გენერალი, საფრანგეთის პოლიტიკური, სახელმწიფო მოღვაწე, პრეზიდენტი, დაიბადა 1890 წელს.

**1977 – დავით V (ხარიტონ დევდარიანი),** საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.

**1991 – ივ მონტანი,** ფრანგი მსახიობი და მომღერალი, დაიბადა 1921 წელს.

### მოვლენები:

**1900 წელი** – რუსეთის 100-ათასიანმა არმიამ დაასრულა მანჯურიის ოკუპაცია.

**1906 წელი** – პირველად გადაიცა უბედურების სიგნალი „SOS“ – „იხსენით ჩვენი სულები“.

**1938 წელი** – „ბროლის ღამე“ ნაცისტურ გერმანიაში დაწვეს ებრაელთა სახლები, სკოლები და სინაგოგები.

**1965 წელი** – დიდ ბრიტანეთში აიკრძალა სიკვდილით დასჯა.

**1985 წელი** – 22 წლის გარი კასპაროვი მსოფლიო ჩემპიონი გახდა ჭადრაკში.

**1989 წელი** – დაიწყო ბერლინის კედლის დანგრევა.

მედიანიუსი


## განცხადება
## იყიდება ბათუმგორაზე

იყიდება ბათუმგორაზე მიწის ნაკვეთი 5 000მ², აქედან 1 000მ², დატოვებულია მშენებლობისთვის, დანარჩენ 4 000მ² არის მანდარინის ხეები, ყოველწლიურად ნაყოფი მოდის 10-15 ტონამდე. ნაკვეთი გალამაზებულია კაკლისა და ნაძვის ხეებით. პანორამა გადასარევი, ნაკვეთიდან შესანიშნავად ჩანს მთელი ბათუმის ხედი ზღვის ნაპირით; ზღვის ნაპირიდან დაშორება 1,2 კმ; ნაკვეთამდე მისასვლელს ესაზღვრება 3 (სამი) გზა. მიყვანილია ნაკვეთამდე ბუნებრივი აირი. ფასი შეთანხმებით.

მობ: 899 15 44 35, 874 15 44 35.


## ბუნება და ჩვენ

### მეტეოდამოკიდებულება

**მეტეოდამოკიდებულების შესახებ საუბარი პირველად ჰიპოკრატემ დაიწყო.**

● მეტეოდამოკიდებული ხალხისთვის მგრძნობიარეა ატმოსფერული წნევის ცვლილებები, ჰაერის სინოტივის გაზრდა, ჰაერში ჟანგბადის შემცველობის დაქვეითება და მაგნიტური ქარიშხლები.

● ხალხი, ვისი განწყობილებაც დამოკიდებულია ამინდზე, გაცილებით მეტია ქალაქებში, ვიდრე სოფლის ადგილებში.

● ინფარქტების, ჰიპერტონული კრიზისებისა და ინსულტების დაახლოებით 70 პროცენტი ხდება მაგნიტური ქარიშხლების დროს.

● მეცნიერები ვარაუდობენ, რომ თავისებური „ანტენები“, რომლებიც იჭერენ (რეაგირებენ) ამინდის ცვლილებებს, განთავსებულია ძილის არტერიების კედლებზე.

● მეტეოდამოკიდებულება შეიძლება აწუხებდეს ცხოველებსაც.

● ძუძუს ბავშვთა 80 პროცენტს ცუდად სძინავთ და წვალობენ გაზების გამო სწორედ საამინდო ფრონტების ცვლის დღეებში.

● განსაკუთრებით მგრძნობიარენი გარემოს ცვალებადობისადმი არიან დღენაკლული და საკეისრო გაკვეთით გაჩენილი ბავშვები.

● არაკეთილსაიმედო ამინდის დღეებში არ უნდა ვჭამოთ ბევრი ხორცი, ცხიმიანი და შემწვარი კერძები.

● **93-95 პროცენტით მართლდება ამინდის სამედიცინო პროგნოზი, რომელიც ერთი დღე-ღამის წინ არის შედგენილი.**

## ანდაზის გახსენება

რა ქნას, უყვარს დიდი
რბოლა,
გაქროლა და გამოქროლა.

...ვაშინგტონში მიდიოდა,
რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა..

თამაზ ილმელი


## იყიდება სასწრაფოდ!

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ
ვრცელი ფართობი (180 კვ.მ) საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

## რეკლამა

გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## შევიძენ

მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს.
855-42-05-82.


## ანეკდოტები

ბანკში:

– თუ შეიძლება, ჩქარა გადაწყვიტეთ, რა გნებავთ – ფულის შემოტანა თუ გატანა?

– რასაკვირველია, გატანა! ოღონდ აღარ მახსოვს, პისტოლეტი სად შევინახე!

* * *

– თქვენ დღეს ჩემი მესამე ცოლივით გამოიყურებით.

– სულ რამდენი ცოლი გყავდათ?

– აქამდე ორი!

* * *

– მე არ ვეწევი, არ ვსვამ, უმუშევარი და უცოლო ვარ!

– მაშასადამე, სულელი ხარ!

– რატომ?

– მისატოვებელიც კი არაფერი გაქვს.

* * *



– მხოლოდ დღეს მივხვდი, თუ რა არის რემონტი.

– კი მაგრამ, რას მიხვდი?

– იმას მივხვდი, რომ ფეხებს იწმენდ ბინაში შესვლისას კი არა, იქიდან გამოსვლისას!

* * *

– ეს როგორ გამხდარხარ?

– ეგ კომპლიმენტია?

– არა, საშინელებაა!

* * *

საპარიკმახეროში შედის გაბურძგნული ახალგაზრდა და პარიკმახერს ეუბნება:

– გამკრიჭეთ, როგორც ამას წინათ!

პარიკმახერი:

– ის მე არ ვიყავი, მე აქ მხოლოდ მეორე წელია ვმუშაობ!

* * *

– ვა, რა კლასიკური პიჯაკი გაცვია.

– ცოლმა მაჩუქა.

– რა, დაბადების დღე გქონდა?

– არა, გუშინ ცოტა ადრე დავბრუნდი შინ სამსახურიდან, საწოლთან სკამზე ვიღაცის პიჯაკი და შარვალი ეკიდა...

## კადრი




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით ალმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.